

# ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები პირველი შუალედური კვლევა



ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი

6 ივნისი, 2011 წელი



ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი დაარსდა 2006 წლის დეკემბერში, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების, მშვიდობისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას. ევროპული

ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი არის ანალიტიკური პროგრამა, რომელიც ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა 2010 წლის იანვარში და ახორციელებს კვლევას და ანალიზს, რათა ხელი შეუწყოს პირველ რიგში საქართველოს, ხოლო მომდევნო ეტაპზე მთლიანად რეგიონის ევროპული მომავლის შესახებ დისკუსიებს და დამოუკიდებელი ექსპერტიზით წვლილი შეიტანოს ამ მიმართულებით პოლიტიკის ფორმირებაში.

ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი იკვლევს საკითხებს, რომლებიც ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს, საქართველოსა და რეგიონის ევროკავშირთან თანამშრომლობის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებს უკავშირდება. ძირითადი მიზანია ერთის მხრივ, საქართველოში/რეგიონში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების უკეთ გათვითნობიერება და ჩართვა ევროპული ინტეგრაციის პროცესებში; მეორეს მხრივ, ბრიუსელსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში დაინტერესებული პოლიტიკური, საექსპერტო, მედია თუ აკადემიური წრეებისა და პირების უკეთ ინფორმირება საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, მათი მხრიდან ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერის წახალისების მიზნით. აქედან გამომდინარე, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი იკვლევს იმ საკითხებსაც, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის არსებულ დღის წესრიგს, მაგრამ ეხმიანება ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ გამოწვევებს, ამ თემებზე ფართო საზოგადოებრივი დებატების ხელშეწყობის მიზნით.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი ხორციელდება ფონდი ღია  
საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

---

© EI-LAT 2011 ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი  
რუსთაველის გამზირი, 50/1, 0108, თბილისი, საქართველო. ტელ./ფაქსი: +(995 32) 93 11 28;  
ელფოსტა: info@ei-lat.ge, ვებ-გვერდი: www.ei-lat.ge

# ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია: უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები

## შინაარსი

შესავალი .....	5
თავი II - ვიზის ფასილიტაცია.....	12
§ 1 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ .....	12
ხელშეკრულების მონაწილე ევროკავშირის ქვეყნები .....	13
§ 2 ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ 2007-2009 წლებში საქართველოში გაცემული ვიზების სტატისტიკა.....	18
ვიზების კატეგორიები - განმარტება.....	19
§ 3 ევროკავშირის მოქალაქეთა შემოსვლა საქართველოში და საქართველოს ლიბერალური სავიზო პოლიტიკა .....	22
§ 4 საზოგადოების ინფორმირებულობა ევროკავშირთან ვიზების გამარტივების საკითხზე .....	23
§ 5 საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების საერთო მიმოხილვა .....	25
თავი III - მოქალაქეთა რეადმისია .....	29
§ 1 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ.....	29
§ 2 ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული ელექტრონული ფულადი გზავნილები.....	33
§ 3 ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია .....	34
§ 4 შრომითი მიგრაცია და პოტენციური შრომითი მიგრანტები .....	36
§ 5 საზოგადოების ინფორმირებულობა ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შეთანხმების თაობაზე.....	38
თავი IV - ხელშეკრულებების საერთო შეფასება.....	40

<b>დანართი 1</b> .....	51
საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები - საინფორმაციო ფურცელი.....	51
<b>დანართი 2</b> .....	52
ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა შემოსვლა საქართველოში 2004–2010 წლები .....	52
<b>დანართი 3</b> .....	53
ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში ვიზების გაცემის სტატისტიკა 2007- 2009 წლები .....	53
<b>დანართი 4</b> .....	56
სავიზო განაცხადის ფორმა - საფრანგეთის საკონსულო.....	56
<b>დანართი 5</b> .....	59
ვიზაზე უარის ფორმის ნიმუში .....	59
<b>დანართი 6</b> .....	61
საფრანგეთის საკონსულოს მიერ ვიზის გაცემაზე უარის დასაბუთების ფორმა .....	61
<b>დანართი 7</b> .....	63
ელექტრონული ფულადი გზავნილები საქართველოში .....	63
<b>დანართი 8</b> .....	64
ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში დეპორტირებულ პირთა საერთო სტატისტიკა 2009-2010 წლები .....	64

## შესავალი

2011 წლის 1 მარტს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზის გამარტივების (ფასილიტაციის) და უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის ხელშეკრულებები ამოქმედდა. ამ შეთანხმებების გაფორმება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. ხელშეკრულებების იმპლემენტაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოსათვის ევროკავშირის ე.წ. „თეთრ სიაში,“ ანუ იმ ქვეყნების რიგში გადასანაცვლებლად, რომელთაც ევროკავშირის ტერიტორიაზე (ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის გარდა) უვიზო მიმოსვლის და ექვსი თვის განმავლობაში სამი თვით დარჩენისა და თავისუფალი გადაადგილების საშუალება გააჩნიათ.

2001 წლის 15 მარტის #539/2001 ევროპული საბჭოს რეგულაციით<sup>1</sup> საქართველო ე.წ. „შავ სიაში“, ე.ი. იმ ქვეყნების ნუსხაში შედის, რომელთა მოქალაქეებსაც ნებართვის, ანუ ვიზის გარეშე არ შეუძლია ევროკავშირში შესვლა და გადაადგილება. ამასთან, სავიზო შეზღუდვების ინდექსის მიხედვით (Henley & Partners Visa Restrictions 2010 Index), რაც ქვეყნების რანჟირებას მათი მოქალაქეებისათვის გადაადგილების თავისუფლების მიხედვით ახდენს, საქართველოს არც თუ ისე სახარბიელო პოზიცია უჭირავს. თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ შერჩეულია 2010 წლის სავიზო შეზღუდვების ინდექსის მიხედვით რამდენიმე ქვეყნის მაჩვენებელი, სადაც ნუსხის ლიდერი დიდი ბრიტანეთია, ხოლო ნუსხის ბოლოს ისეთი ქვეყნებია, როგორცაა ავღანეთი და ერაყი:<sup>2</sup>

პოზიცია	ქვეყანა	ინდექსი*
1	დიდი ბრიტანეთი	166
5	გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები	161
49	რუსეთი	83
65	უკრაინა	64
67	განა	62
71	მოლდავეთი, საუდის არაბეთი	57
<b>72</b>	<b>საქართველო, ბელორუსი</b>	<b>56</b>
73	ბენინი	54
92-98	ირანი, ერაყი, ავღანეთი, სომალი, სუდანი	34-26

*\*ინდექსი წარმოადგენს იმ ქვეყნების რაოდენობას, სადაც მოცემული ქვეყნის მოქალაქეებს თავისუფლად (უვიზოდ) შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობა აქვთ.*

შესაბამისად, საქართველოსათვის ევროკავშირის ე.წ. „თეთრ სიაში“ გადანაცვლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტია, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანას ცალმხრივად ლიბერალიზებული სავიზო პოლიტიკა გააჩნია მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანასთან. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონით, 2006 წლის 1 ივნისიდან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში

<sup>1</sup> Council Regulation (EC) # 539/2001, მარტი, 2001:

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:069:0010:0010:EN:PDF>

<sup>2</sup> Henley and Partners Visa Restriction Index, Global Ranking, 2010

უვიზოდ შემოსვლისა და 90 დღის განმავლობაში დარჩენის უფლება აქვთ. 2009 წლის 14 აგვისტოდან აღნიშნული ვადა გაიზარდა და ამჟამად მოიცავს 360 დღეს.

მიმდინარე მდგომარეობით, სულ 41 ქვეყანა და ტერიტორია სარგებლობს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით. ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ ქვეყნებთან: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, რუსეთი, სერბეთი და უკრაინა. უფრო მეტ ქვეყანასთან ევროკავშირს გააჩნია მხოლოდ რეადმისიის ხელშეკრულება.

ამ ქვეყნებიდან სამმა დასავლეთ ბალკანურმა სახელმწიფომ (სერბეთი, მაკედონია და მონტენეგრო), უკვე გადაინაცვლა ევროკავშირის „თეთრ სიაში“ მას შემდეგ, რაც დაახლოებით 50 პუნქტიანი „საგზაო რუქის“ მიხედვით საკმაოდ რთული რეფორმები განახორციელა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მოლდოვამ და უკრაინამ საქართველოზე ადრე, 2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედეს ევროკავშირთან ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებები, ხოლო 2010 წელს დაიწყო დიალოგი უვიზო მიმოსვლის სამოქმედო გეგმების შესახებ. მეორე შუალედური კვლევა, სწორედ ამ ორი ქვეყნის გამოცდილებას შეეხება, რამდენადაც ის შესაძლოა რელევანტური იყოს საქართველოსათვის ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგის დასაჩქარებლად და უვიზო მიმოსვლის რეჟიმში გადასანაცვლებლად.

აღსანიშნავია ასევე, რომ რუსეთთან ევროკავშირმა ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებები 2007 წლის ივნისში ამოქმედდა. ამჟამად, ევროკავშირის წევრების პოზიცია გაყოფილია რუსეთთან ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის, ეს პოლიტიკურად სენსიტიური საკითხია. საქართველოს ვიცე-პრემიერის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, რუსეთისათვის საქართველოზე ადრე უვიზო რეჟიმის ამოქმედება „არ იქნებოდა გონივრული გადაწყვეტილება,“ რამდენადაც ეს უკავშირდება კონფლიქტის ზონებში არალეგალური ‘პასპორტიზაციის’ საკითხს და არ შეესაბამება ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პოლიტიკას.<sup>3</sup>

ერთი მხრივ, ევროკავშირი აფართოვებს იმ ქვეყნების არეალს, რომელთაც უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა უჩნდებათ. მეორე მხრივ, გაერთიანება მეტ ყურადღებას უთმობს მობილურობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს, კერძოდ, არალეგალური მიგრაციის და თავშესაფართა მამიებლების მასობრივი ნაკადის კონტროლსა და მოწესრიგებას. მიმდინარე წლის 24 მაისს ევროკომისიამ განაცხადა, რომ შესაძლოა განიხილოს უვიზო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნებისთვის გადაადგილების თავისუფლების პრეფერენციების დროებითი შეჩერების საკითხი, იმ შემთხვევაში თუ გარკვეული კრიტერიუმებით დადასტურდება ამ უკანასკნელის პირდაპირი ბმა არალეგალური მიგრაციის მკვეთრი ზრდის ტენდენციასთან.<sup>4</sup> ევროკომისიარმა მალსტრომმა აღნიშნა, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ „უკიდურესი ზომა,“ რადგან არსებული პრობლემების მოგვარებას

<sup>3</sup> ვალენტინა პოპი, EU Observer, *“Georgia to EU: Don't neglect eastern neighbourhood”*, 01/05 2011: <http://euobserver.com/892/32246>

<sup>4</sup> ვალენტინა პოპი, EU Observer, *“EU to allow temporary suspension of visa-free regimes,”* 24/05/2011: <http://euobserver.com/?aid=32387>

დიალოგის რეჟიმში გეგმავენ. თუმცა, განაცხადი თავისთავად მიანიშნებს ბრიუსელის დამოკიდებულებებზე არსებულ და შესაძლო გამოწვევებთან.

ამდენად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მხრიდან მობილურობის სფეროში პარტნიორობა, მათ შორის რეადმისიის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ევროკავშირის მიერ აუცილებელ წინაპირობად განიხილება უვიზო მიმოსვლის ამოქმედებისათვის. შესაბამისად, ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებები ხელშეკრულებათა ერთგვარ ტანდემს წარმოადგენს, რომელთა განხორციელება აუცილებელი ნაბიჯია ვიზის ლიბერალიზაციისათვის. ცხადია, ამ პროცესს გარკვეული პოლიტიკური კონტექსტიც გააჩნია. ამიტომ, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ჯერჯერობით რთულია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა დრო დასჭირდება საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მისაღწევად. მესამე, და პროექტის დასკვნითი კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის პერსპექტივებისა და მის დასაჩქარებლად გადასადგმელი ნაბიჯების ანალიზი.

პროცესი საკმაოდ დიდი ხნით ადრე დაიწყო. 2006 წლის ნოემბერში საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა ადამიანების გადაადგილების გამარტივების შესახებ დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის საკითხებსაც მოიცავდა. აღნიშნული პოზიცია საქართველოსათვის მხარდაჭერის დასადასტურებლად, ევროკავშირის საბჭოს რიგგარეშე სამიტმა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის 1 სექტემბერის დეკლარაციით<sup>5</sup> კიდევ ერთხელ გაამყარა.

2009 წლის 7 მაისს ევროკავშირმა პრადის სამიტზე სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ექვს ქვეყანას - ბელორუსს, მოლდოვას, უკრაინას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს თანამშრომლობის ახალი, უფრო კომპლექსური ფორმატი - აღმოსავლეთ პარტნიორობა შესთავაზა. პრადის სამიტის დეკლარაცია შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორცაა ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური სფეროს რეფორმირება, ენერგო უსაფრთხოება, მიგრაციის მართვა და ვიზის ლიბერალიზაცია. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებისათვის სწორედ ვიზების ლიბერალიზაციისა და შესაბამისად, ევროკავშირთან სამამოღავლოდ უვიზო მიმოსვლის პერსპექტივაა.

2009 წლის 30 ნოემბერს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის შორის პარტნიორობა მობილურობისთვის შეთანხმებას,<sup>6</sup> რაც ოფიციალურად 2010 წლის 16 თებერვალს ამოქმედდა. აღნიშნული შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2008 წლის ივნისიდან მიმდინარეობდა. პარტნიორობა მობილურობისთვის გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის მჭიდრო თანამშრომლობას საზღვრის მართვისა და კონტროლის სფეროში, არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში,

<sup>5</sup> Extraordinary European Council, Brussels, (12594/08) 01//09/2008:

[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu\\_georgia/political\\_relations/eu\\_documents\\_on\\_georgia/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/eu_documents_on_georgia/index_ka.htm)

<sup>6</sup> ბმული იხილეთ ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის ვებ-გვერდზე: Agenda for Europe/ Visa and Mobility, [www.ei-lat.ge](http://www.ei-lat.ge)

პირთა აღრიცხვისა და იდენტიფიცირების თანამედროვე ინტეგრირებული სისტემების დანერგვაში და მიგრანტთა დროებითი თავშესაფრების მოწყობაში.

ევროკავშირთან 2010 წლის 15 ივლისს ასოცირებული შეთანხმების შესახებ დაწყებული მოლაპარაკებები კი საქართველოსათვის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მსგავსად (ბელორუსის გარდა) ევროკავშირთან ხელსაყრელი თანამშრომლობისათვის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის. გადაადგილების გამარტივება უვიზო მიმოსვლის პერსპექტივით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობასთან ერთად, საქართველოს ევროინტეგრაციული ვექტორის საკვანძო საკითხს წარმოადგენს და უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს მოსალოდნელი დადებითი გავლენის გათვალისწინებით. წინა წლის ივლისში ბათუმში ვიზიტად მყოფი ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონის სიტყვებით, ასოცირებული ურთიერთობები არა მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე, არამედ ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე აისახება.

2010 წლის 17 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმებას, ხოლო მოგვიანებით 2010 წლის 22 ნოემბერს მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ორივე ხელშეკრულება წლის ბოლომდე რატიფიცირებული იქნა მხარეების მიერ და 2011 წლის 18 იანვარს დადასტურდა ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით (#5412/11),<sup>7</sup> რის შემდეგაც ხელშეკრულებები ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 მარტს.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმება ძირითად ნაწილში საქართველოს მოქალაქეთა 13 კატეგორიაზე ვრცელდება. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, გარკვეულწილად შემცირდა მგზავრობის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობა, 60-დან და 35 ევრომდე შემცირდა სავიზო მოსაკრებელი, ხოლო მოქალაქეთა 12 კატეგორიისათვის სავიზო მოსაკრებელი მთლიანად გაუქმდა. 10 კალენდარულ დღემდე შემცირდა ვიზის გაცემის ვადა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს და ვიზა გაცემულ იქნას 2 სამუშაო დღეზე ნაკლებ დროში. თუმცა, ზოგჯერ საქმის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლოა ვიზის გასაცემად გამოყენებული იქნას 30 დღიანი ვადა. შეთანხმებით განსაზღვრულია ასევე ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი მოქმედების მრავალჯერადი ვიზების გაცემის პირობები და დიპლომატიური პასპორტის მქონე პირთა უვიზოდ გადაადგილების საკითხი.

ხელშეკრულების ხელმოწერამდე საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა, ევროკავშირის ბიუროკრატიული პროცედურების გარდა, იყო მხარეთა შორის შეუთანხმებელი საკითხებიც, რომელთა განხილვასა და შეჯერებას საკმაოდ დრო დაეთმო. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა თემა. ქართულ მხარეს სურდა, რომ ხელშეკრულების იმ ნაწილში, სადაც საუბარია სავიზო მოსაკრებლისგან გათავისუფლებაზე, ცალკე კატეგორიად დაეფიქსირებინა იძულებით გადაადგილებული პირები. თუმცა, ევროპული მხარე ამ წინადადებას არ დათანხმდა იმ მიზეზით, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა პროპორციულად საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს

<sup>7</sup> იხილეთ: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/jha/118885.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/jha/118885.pdf)



წარმოადგენს.<sup>8</sup> გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) 2011 წლის მონაცემებით საქართველოში ფიქსირდება 247 000 იძულებით გადაადგილებული პირი.<sup>9</sup> ევროკავშირის წევრი ქვეყნის ვიზის აღების შემთხვევაში ეს ადამიანები ვალდებული იქნებიან საერთო წესით გადაიხადონ სავიზო მოსაკრებელი 35 ევროს ოდენობით.

ერთი შეხედვით, აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ-ევროპული ურთიერთობების გაღრმავებას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებული პირებისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვიზა უფრო მარტივად ხელმისაწვდომი იქნება, ვიდრე აქამდე იყო. წარმოდგენილი შუალედური კვლევის მეორე თავი უფრო დეტალურად განმარტავს ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმებას და აანალიზებს მის პოტენციურ ეფექტს არსებულ ვითარებაში.

რაც შეეხება უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებას, ის გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას ყოველგვარი გაჭიანურებული პროცედურების გარეშე, დაიბრუნონ მეორე მხარეს არალეგალურად მცხოვრები საკუთარი მოქალაქეები და მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მიმღები ქვეყნის გავლით პირდაპირ მოხვდნენ რეადმისიის მომთხოვნი ქვეყნის ტერიტორიაზე. ხელშეკრულება განსაზღვრავს რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა კატეგორიებს, პირთა იდენტიფიცირების საშუალებებს, რეადმისიის ვადებს, პროცედურებს, ტრანსპორტირებას და ხარჯების ანაზღაურებას. ხელშეკრულების თანახმად რეადმისიის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მიმღები ქვეყნის საზღვრამდე სრულად ეკისრება რეადმისიის მომთხოვნ მხარეს.

ამასთან, რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაცია დაკავშირებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობა მობილურობისთვის შეთანხმებასთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს, კონკრეტული რეფორმებისა და ღონისძიებების ფართო სპექტრის ხელშეწყობას მობილურობისა და ლეგალური მიგრაციისათვის უკეთესი პირობების მოსამზადებლად, სამომავლოდ ევროკავშირთან შრომითი და ცირკულარული მიგრაციის პერსპექტივის გათვალისწინებით. შეთანხმება ასევე გულისხმობს თანამშრომლობას დაბრუნებულ მიგრანტთა ინტეგრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხებში. ამ შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობა გულისხმობს ასევე რეადმისიის (ისევე როგორც ვიზის ფასილიტაციის) ხელშეკრულების განხორციელების მხარდაჭერას ქართული მხარისათვის საზღვრის მენეჯმენტის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების, პასპორტებისა და საცხოვრებელი ნებართვების უსაფრთხოების, მონაცემთა ელექტრონული ბაზის მოწესრიგებისა და დაცულობის, არალეგალური/არარეგულარული მიგრაციის, ტრეფიკინგისა და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულელებით დახმარების გაწევით. რეადმისიის შეთანხმების და მისი ძირითადი პოსტულატების დეტალურ ანალიზს წარმოადგენილი შუალედური კვლევის მესამე თავი ეთმობა.

საქართველოსათვის, რომლის მოსახლეობის სავარაუდოდ 22,9 % ემიგრაციაშია,<sup>10</sup> მათგან თითქმის 80 პროცენტი კი არალეგალური შრომითი მიგრანტი და ოჯახის მარჩენალია, ამ

<sup>8</sup> საინფორმაციო სააგენტო პირველი „სავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულებაში დევნილთა შესახებ ცალკე პუნქტის ჩადებას ევროკავშირი არ დათანხმდა,“ (08/10/2009): <http://pirweli.com.ge>

<sup>9</sup> გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/page?page=49e48d2e6>

<sup>10</sup> *Migration in Georgia: A country profile 2008*, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

შეთანხმების იმპლემენტაციას, შესაძლოა, გარკვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები ჰქონდეს, რაც ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს წარმატებული და კარგად გათვლილი პოლიტიკის წარმოებისათვის.

საქართველოდან შრომითი მიგრაციის მარშრუტები ძირითადად რუსეთს, ასევე დსთ-ს დანარჩენ სივრცეს, თურქეთს, და არა ევროკავშირის ქვეყნებსაც მოიცავს. მაგრამ, არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობა ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით საბერძნეთში, იტალიაში, კვიპროსში, ესპანეთში, გერმანიაში და პოლონეთში საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, ზოგიერთი ამ ქვეყნიდან დეპორტაციების რაოდენობაც ასევე მაღალია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით,<sup>11</sup> 2009-2010 წლებში ევროკავშირიდან დეპორტაციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პოლონეთზე, საბერძნეთსა და გერმანიაზე ნაწილდება და საქართველოს დეპორტირებული მოქალაქეების რაოდენობა შეადგენს:

პოლონეთი - 489  
 საბერძნეთი - 415  
 გერმანია - 339

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ამ ქვეყნიდან დეპორტაციას გარკვეულწილად მზარდი დინამიკა ახასიათებს. პოლონეთის შემთხვევაში დეპორტირებულთა რაოდენობა 2009 წლის 183 შემთხვევიდან, 2010 წელს 306-მდე გაიზარდა, საბერძნეთიდან კიდევ უფრო მეტად - 128-დან 287-მდე, ხოლო გერმანიიდან 141-დან 198-მდე.<sup>12</sup> თუ 2009 წელს ევროკავშირის სივრციდან დეპორტირებულ იქნა სულ 780 მოქალაქე, 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1271-მდე.

ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებიდან ოფიციალური სტატისტიკით აღრიცხული ფულადი გზავნილები (რაც ექსპერტთა შეფასებით, რეალურ მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია), შეადგენს საქართველოს მოქალაქეების მიერ 2008, 2009 და 2010 წლებში განხორციელებული მთლიანი გზავნილების 10.4%, 15.2% და 14.4% შესაბამისად და აბსოლუტურ მაჩვენებლებში 2006 წლიდან აღინიშნება სტაბილური ზრდა. ამასთან, ევროკავშირის სამი ქვეყნიდან (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი) ოფიციალური სტატისტიკით აღრიცხული ფულადი გზავნილების წილი შეადგენს ევროკავშირიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობის 67,9%, 69.2% და 71.9% შესაბამისად და აბსოლუტურ მაჩვენებლებში შეადგენს:

EU	2008	2009	2010
საბერძნეთი	\$ 47 198 000	\$ 60 406 000	\$ 60 734 000
იტალია	\$ 36 621 000	\$ 46 312 000	\$ 52 895 000
ესპანეთი	\$ 20 369 000	\$ 21 286 000	\$ 22 118 000

<sup>11</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; (#12/5/3/14-317594; 16/03/2011)

<sup>12</sup> ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით (#2-03/724-11; 24.02.2011)

რეადმისიის ხელშეკრულება თავისი შინაარსისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით სხვადასხვა კუთხით ფასდება საზოგადოების სხვადასხვა წრეებში. ზოგიერთი მოსაზრებით, რეადმისია ევროპიდან ქართველ არალეგალ მიგრანტთა გამოდევნის ეფექტური გზაა და საბოლოო ჯამში მძიმედ აისახება მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საქართველოში დასაქმების პრობლემების და შრომითი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით. სხვათა მოსაზრებით, რეადმისიის ხელშეკრულება რეალურად არ მოახდენს გავლენას არალეგალურ მიგრაციაზე და მით უმეტეს, ევროკავშირის ტერიტორიაზე ამჟამად მყოფ შრომით მიგრანტებზე სხვადასხვა მიზეზით, რასაც უფრო დაწვრილებით წარმოდგენილი შუალედური კვლევის მეოთხე თავი განიხილავს ორივე ხელშეკრულების სხვა მოსალოდნელ დადებით და უარყოფით შედეგებთან ერთად.

თუმცა, ამ შეთანხმებების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეპირისპირებისას, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ეს ნაბიჯი გარდაუვალი წინაპირობაა ევროკავშირთან სამომავლოდ უვიზო მიმოსვლისთვის, რაც უდაოდ მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული მოქალაქის პიროვნული განვითარებისთვის და კერძო ბიზნესის ზრდისთვის, ასევე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით პოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ვიზის გამარტივებისა და მოქალაქეთა რეადმისიის შეთანხმებების ეფექტურად განორციელების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მოცემულ მომენტში უშუალოდ ევროკავშირის მონაწილეობითა და ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება ექვსი გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს შესაბამისი უწყებების სათანადო ტექნიკითა და კვალიფიკაციით აღჭურვას (რათა ეფექტურად იქნას უზრუნველყოფილი რეადმისიის პროცესი), მოქალაქეთა რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნას (მობილურობის ცენტრები, დროებითი თავშესაფრები, სამედიცინო დახმარება და სხვადასხვა სახის კონსულტაციები), ასევე რეადმისიისა და რეინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას. პროექტის განხორციელებაში ჩართულია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ევროკავშირის რამოდენიმე წევრი სახელმწიფო, მათ შორის, დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC) პროექტით - „საქართველოში რეინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესების კონსოლიდაცია“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) პროექტით - „საქართველოს მთავრობის დახმარება რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის საკითხში“, ევროკავშირის ცხრა ქვეყნისაგან შემდგარი კონსორციუმი ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით პროგრამით - „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის.“

მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და აქტიურობა გადაადგილებისა და მიგრაციის რეჟიმებთან დაკავშირებით ევროკავშირთან ურთიერთობების ახალი დინამიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო წრეების, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, საექსპერტო და მედია წრეების, ისევე როგორც შეთანხმებების უშუალო სამიზნე ჯგუფების ინფორმირება პროცესების პერიპეტციების, შინაარსის, მნიშვნელობის, მოსალოდნელი შედეგებისა და შესაძლებლობების შესახებ. თავის მხრივ, ეს ქმნის საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის შესაძლებლობას ამ პროცესში და შესაბამის გადაწყვეტილებებში, პოლიტიკის მონიტორინგსა თუ ადვოკატირებაში ევროკავშირთან ურთიერთობების

შემდგომი გადრმავეებისა და ვიზის ლიბერალიზაციის პერსპექტივების დროში დაახლოვების თვალსაზრისით.

ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ წარმოდგენილი პირველი შუალედური კვლევის მიზანი სწორედ ამ ამოცანის ხელშეწყობაა, ვიზის ფასილიტაციასა და რეადმისიის ხელშეკრულებების და მათთან დაკავშირებული მხარეთა კონკრეტული პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების, პროცესების, შეთანხმებების, მონაცემებისა და მოლოდინების ანალიზის, ისევე როგორც სხვა რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენის გზით.

## თავი II - ვიზის ფასილიტაცია

### § 1 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზის ფასილიტაციაზე აქტიური მოლაპარაკებები 2008 წელს დაიწყო და ორი წლის თავზე 2010 წლის 17 ივნისს დასრულდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით. შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ქართულმა და ევროპულმა მხარემ დადგინდა წესით მოახდინა რატიფიცირება, ამის შემდეგ კი 2011 წლის 18 იანვარს დოკუმენტი ოფიციალურად იქნა დადასტურებული ევროკავშირის საბჭოს მიერ და ის ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტიდან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმება ემყარება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და მისი მიზანია ადამიანებს შორის კულტურული, ეკონომიკური და სამეცნიერო კავშირების თანმიმდევრული განვითარება. აღნიშნული ხელშეკრულება ცალსახად აფიქსირებს მხარეთა განზრახვას სამომავლოდ უვიზო მიმოსვლის შესახებ, „იმ პირობით თუ შესრულდება კარგად ორგანიზებული და უსაფრთხო მობილურობის ყველა პირობა.“<sup>13</sup>


ხელშეკრულება ეხება ასევე საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის სავიზო მოთხოვნების ცალმხრივად გაუქმებას 2006 წლის 1 ივნისიდან და აკეთებს დათქმას იმის შესახებ, რომ თუ საქართველო საკუთარი გადაწყვეტილებით ისევ შემოიღებს სავიზო ვალდებულებას ევროკავშირის მოქალაქეებისათვის, მაშინ მოცემული ხელშეკრულების შინაარსი ნაცვალგების საფუძველზე ავტომატურად გავრცელდება ევროკავშირის მოქალაქეებზეც. იმდენად, რამდენადაც საქართველოს ამ შეთანხმების ხელმოწერამდე ცალმხრივად ჰქონდა გაუქმებული სავიზო მოთხოვნები ევროკავშირის მოქალაქეებისათვის, შეთანხმება სხვა მხრივ აღარ ეხება ევროკავშირის მოქალაქეთა საქართველოში მიმოსვლის საკითხს და ის მთლიანად საქართველოს მოქალაქეთა ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის საკითხებს აწესრიგებს.

<sup>13</sup> შეთანხმების პრეამბულა. ამ პირობებს განსაზღვრავს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, პარტნიორობა მობილურობისათვის შეთანხმება და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებები

## ხელშეკრულების მონაწილე ევროკავშირის ქვეყნები

ევროკავშირის მხრიდან შეთანხმებას მონაწილე ქვეყნები არიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი და ჩეხეთი.

შეთანხმებას არ შეუერთდა ევროკავშირის სამი სახელმწიფო: გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და დანია.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები	შენგენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნები	შენგენის შეთანხმების მონაწილე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები	ევროკავშირის ქვეყნები რომლებიც არ მონაწილეობენ შენგენის შეთანხმებაში	ევროკავშირისა და შენგენის ქვეყნები რომლებიც არ მონაწილეობენ საქართველოსთან ვიზების გამარტივების შეთანხმებაში
ავსტრია	ავსტრია	ნორვეგია	გაერთ. სამეფო	გაერთ. სამეფო
ბელგია	ბელგია	ისლანდია		ირლანდია
ბულგარეთი	ბულგარეთი*			დანია
გაერთ. სამეფო		შვეიცარია	ირლანდია	ნორვეგია
გერმანია	გერმანია			შვეიცარია
დანია	დანია			
ესპანეთი	ესპანეთი			
ესტონეთი	ესტონეთი			
ირლანდია				
იტალია	იტალია			
კვიპროსი	კვიპროსი*			
ლატვია	ლატვია			
ლიტვა	ლიტვა			
ლუქსემბურგი	ლუქსემბურგი			
მალტა	მალტა			
ნიდერლანდები	ნიდერლანდები			
პოლონეთი	პოლონეთი			
პორტუგალია	პორტუგალია			
რუმინეთი	რუმინეთი*			
საბერძნეთი	საბერძნეთი			
საფრანგეთი	საფრანგეთი			
სლოვაკეთი	სლოვაკეთი			
სლოვენია	სლოვენია			
უნგრეთი	უნგრეთი			
ფინეთი	ფინეთი			
შვედეთი	შვედეთი			
ჩეხეთი	ჩეხეთი			
	ნორვეგია			
	შვეიცარია			
	ისლანდია			

ევროკავშირის მხრიდან შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანა არის შენგენის შეთანხმების მონაწილე ე.წ. შენგენის ზონის წევრი, თუმცა სამი ქვეყანა ბულგარეთი, რუმინეთი და კვიპროსი, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ვერ გასცემენ შენგენის ვიზებს. ბულგარეთი, რუმინეთი და კვიპროსი გასცემენ ეროვნულ ვიზებს, რომელიც გამოიყენება მხოლოდ შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის. მაგალითად: საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ფლობს ბულგარეთის ვიზას შეუძლია თავისუფლად იმყოფებოდეს ბულგარეთის ტერიტორიაზე შესაბამისი დროის განმავლობაში, მაგრამ თუ ეს პირი მოისურვებს ბულგარეთიდან საბერძნეთში გადასვლას, ამისათვის მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საბერძნეთის ან შენგენის ზონის სხვა ქვეყნის ვიზა. მაგრამ, თუ საქართველოს მოქალაქე ფლობს საბერძნეთის მიერ გაცემულ შენგენის ვიზას, მას თავისუფლად შეუძლია გადაადგილდეს შენგენის, მათ შორის, ბულგარეთის, რუმინეთის და კვიპროსის ტერიტორიაზე.

შეთანხმების მონაწილე ქვეყნების (ბულგარეთის, რუმინეთის და კვიპროსის გარდა) მიერ გაცემული ვიზა საქართველოს მოქალაქეს აძლევს უფლებას, ევროკავშირის მოქალაქის მსგავსად, თავისუფლად გადაადგილდეს და იმყოფებოდეს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმება თავიდანვე აკეთებს დათქმას იმის თაობაზე, რომ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის შეთანხმებით, საერთო წესით არეგულირებს საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობა. ეს საკითხები შეიძლება იყოს, ვიზის გაცემაზე უარი, სამგზავრო დოკუმენტის ცნობა, საარსებო საშუალების დამადასტურებელი საბუთი და სხვა. ამ საკითხებს პრაქტიკულ ჭრილში ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

შეთანხმების მე-4 მუხლი მგზავრობის მიზნის შესაბამისად განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული ხელშეკრულება. მოცემულ მუხლში წარმოდგენილია **მოქალაქეთა 13 კატეგორია**, რომლებსაც ევროკავშირის ტერიტორიაზე **მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად** ესაჭიროებათ მხოლოდ ის დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულებით შესაბამისი კატეგორიისთვის არის გათვალისწინებული.

ეს კატეგორიებია:

1. „ახლო ნათესავები - მეუღლე, შვილები (ნაშვილების ჩათვლით), მშობლები (მეურვეების ჩათვლით), ბებია და ბაბუა, შვილიშვილები, რომლებიც სტუმრად ჩადიან წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან;
2. ოფიციალური დელეგაციის წევრები, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე მონაწილეობენ შეხვედრებში, კონსულტაციებში კონფერენციებში და სხვა;
3. მოსწავლეები, სტუდენტები და ასპირანტები, რომლებიც მიემგზავრებიან სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მიზნით;
4. პირები, რომლებიც მიემგზავრებიან სამკურნალოდ - მათი თანმხლები პირებიც თუ აუცილებელია;
5. ჟურნალისტები და სამსახურებრივი სტატუსით მათი თანმხლები პირები;
6. საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე პირები და სამსახურებრივი სტატუსით მათი თანმხლები პირები;
7. მეწარმეები და კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები;

8. იმ პროფესიების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო გამოფენებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში;
9. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ კონფერენციებში, სემინარებში და ტრენინგებში;
10. პირები, რომლებიც მონაწილეობენ სამეცნიერო, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში;
11. მძღოლები, რომლებიც ასრულებენ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს;
12. პირები, რომლებიც მონაწილეობენ დამმობილებული ქალაქების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ გაცვლით პროგრამებში;
13. პირები, რომლებიც მიემგზავრებიან სამხედრო და სამოქალაქო საფლავების მონახულების მიზნით.

აღნიშნული კატეგორიის პირებს მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად, ძირითადად მოეთხოვებათ ერთი ოფიციალური დოკუმენტი. თუმცა, ეს არ გულისხმობს სხვა სახის დოკუმენტების წარდგენისაგან გათავისუფლებას. კერძოდ, თუ მოქალაქეს გადაწყვეტილი აქვს სასწავლებლად გაემგზავროს ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში, მან უნივერსიტეტში ჩარიცხვის ცნობასთან ერთად (მგზავრობის მიზანი) უნდა წარმოადგინოს ცნობა იმის თაობაზე, თუ რა ღირს აღნიშნულ უნივერსიტეტში სწავლა და ვინ ფარავს სწავლის ხარჯებს, ასევე - იქ ცხოვრებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტები (საარსებო საშუალებები). გარდა ამისა, სავიზო განაცხადის შევსებისას, მან უნდა მიუთითოს ყველა ის პერსონალური ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია შესაბამისი სავიზო განაცხადის ფორმით.

აღსანიშნავია, რომ **დიპლომატიური პასპორტის მქონე პირებს** ენიჭებათ შეთანხმების მონაწილე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე უვიზოდ შესვლისა და გადაადგილების უფლება. თუმცა ამ საკითხზე ხელშეკრულება შეიცავს მხარეთა დეკლარაციას იმის შესახებ, რომ ევროკავშირმა შეიძლება მოითხოვოს ამ პუნქტის დროებითი შეჩერება, თუ საქართველო არასწორად ახორციელებს დიპლომატიური პასპორტების გაცემას და საფრთხეს უქმნის ევროკავშირის უსაფრთხოებას, (ასეთ შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა ერთობლივ კომიტეტს).

განსაზღვრულია ასევე ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი მოქმედების მრავალჯერადი ვიზების გაცემის პირობები და პირთა კატეგორიები, რომელზეც ეს ვრცელდება.

**ხუთწლამდე მოქმედების მრავალჯერადი ვიზა** გაიცემა:

- ა) ევროკავშირის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები პირების მეუღლეებზე, 21 წლამდე შვილებზე (ან თუ ისინი იმყოფებიან მშობლების კმაყოფაზე) და მშობლებზე, რომლებიც სტუმრად ჩადიან მათთან. ვიზის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირის ევროკავშირში კანონიერად ცხოვრების ვადას;
- ბ) ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებზე, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წევრებზე;
- გ) საქართველოს ოფიციალური დელეგაციების მუდმივ წევრებზე.

**ერთწლამდე მოქმედების ვიზა** გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს აღნიშნული ვიზის მოთხოვნამდე უკვე აღებული და დადგენილი წესით გამოყენებული ჰქონდა ერთჯერადი ვიზა და არსებობს მრავალჯერადი ვიზის მოთხოვნის საფუძველი.

**მინიმუმ ორი და მაქსიმუმ ხუთი წლის მოქმედების ვიზა** გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს უკვე აღებული და დადგენილი წესით გამოყენებული ჰქონდა ერთწლიანი მრავალჯერადი მოქმედების ვიზა და არსებობს მრავალჯერადი ვიზის მოთხოვნის საფუძველი. აღნიშნული მრავალჯერადი მოქმედების ვიზები გაიცემა 11 კატეგორიის პირზე, რომელთა შორის არიან: ოფიციალური დელეგაციების წევრები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სტუდენტები, მეწარმეები სპორტსმენები და სხვა.

შეთანხმების თანახმად, **60-დან 35 ევრომდე შემცირდა სავიზო მოსაკრებლის ღირებულება**, რომელიც წარმოადგენს სავიზო განაცხადის განხილვის საზღაურს და ვიზაზე უარის შემთხვევაში განმცხადებელს თანხა უკან არ უბრუნდება. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს დამატებითი მომსახურების შემოღების შესაძლებლობას, თუმცა მისი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30 ევროს. სავარაუდოდ, მომსახურების ცენტრმა, დამატებითი საზღაურის სანაცვლოდ, უნდა გაუმარტივოს მოქალაქეებს სავიზო აპლიკაციის პროცესი, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია და დაეხმაროს საჭირო დოკუმენტაციის მოგროვებაში, და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ცენტრების მომსახურების გამოყენება არის ნებაყოფლობითი და მოქალაქეებს შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ საქართველოში წარმოდგენილ საკონსულოებს სავიზო განაცხადით.

შეთანხმებით არა თუ შემცირდა სავიზო მოსაკრებლის ღირებულება, არამედ **მოქალაქეთა 12 კატეგორია მთლიანად გათავისუფლდა სავიზო მოსაკრებლისგან**, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ ხელშეკრულების ერთ-ერთ დადებით მხარედ.

სავიზო მოსაკრებლისგან გათავისუფლებულთა შორის არიან:

1. პენსიონერები;
2. 12 წლამდე ასაკის ბავშვები;
3. სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირები;
4. უნარშეზღუდული პირები და მათი თანმხლები პირები;
5. ევროკავშირში კანონიერად მცხოვრებ პირთა ახლო ნათესავები;
6. ოფიციალური დელეგაციების წევრები;
7. მოსწავლეები და სტუდენტები;
8. ჟურნალისტები;
9. სპორტსმენები;
10. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები;
11. კულტურული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები;
12. ჰუმანიტარული მიზნებით (ავადმყოფობა, ახლო ნათესავის დაკრძალვაზე დასწრება ან მძიმედ ავადმყოფი ახლო ნათესავის მონახულება) გამგზავრების მსურველები.



წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ნებისმიერი ზემოაღნიშნული პირის ყოფნა თითოეულ ჯერზე არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს 180 დღიან მთლიან პერიოდში.

**ერთი თვიდან 10 კალენდარულ დღემდე შემცირდა ვიზის გაცემის ოფიციალური ვადა,** რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს და ვიზა გაცემულ იქნას 2 სამუშაო დღეზე ნაკლებ დროში. თუმცა, ზოგჯერ საქმის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლოა ვიზის გასაცემად გამოყენებული იქნას 30 დღიანი ვადა. თუ არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე და მას შემდეგაც, ევროკავშირის ქვეყნები ვიზებზე პასუხს, როგორც წესი, 3-4 დღეში გასცემენ.

შეთანხმება არ არეგულირებს ვიზაზე უარის თქმის დასაბუთებისა და უარის გასაჩივრების საკითხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იქნას ევროკავშირის მიერ 2009 წლის 13 ივლისს მიღებული ევროპის სავიზო კოდექსი,<sup>14</sup> რომელიც მთლიანად განსაზღვრავს ევროკავშირის სავიზო პოლიტიკას, ვიზაზე უარის დასაბუთებისა და უარის გასაჩივრების ნაწილში. კოდექსის ეს ნაწილი ამოქმედდა 2011 წლის 5 აპრილს. სავიზო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ვიზის გამცემი უწყება ვალდებულია ვიზის გაცემაზე უარი დაასაბუთოს სპეციალური წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება ყველა ის გარემოება, რის გამოც დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ვიზაზე და გადასცეს განმცხადებელს. ამავე მუხლის მე-7 პუნქტი კი დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, ვიზის გაცემაზე მიღებული უარი გაასაჩივროს შესაბამის უწყებაში. გასაჩივრების წესი და პროცედურები, კოდექსის თანახმად, განისაზღვრება წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა, სავიზო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა ვიზაზე უარის გამცემ უწყებას ავალდებულებს დაინტერესებულ პირს ნათლად განუმარტოს გასაჩივრების წესი და ყველა საჭირო პროცედურა, რაც გულისხმობს, ვიზაზე უარის დასაბუთების დოკუმენტში<sup>15</sup> შემდეგი ინფორმაციის სავალდებულო მითითებას:

- დაინტერესებული პირის უფლება, გაასაჩივროს აღნიშნული უარი;
- კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც განიხილება საჩივარი;
- საჩივრის მიმღები და განმხილველი ორგანო;
- საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენად ზუსტად ასრულებენ საქართველოში აკრედიტებული საკონსულოები სავიზო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნას და გავარკვიეთ, რომ საკონსულოები, როგორც წესი, ყველა მოქალაქეს, ვისაც უარს ეუბნებიან ვიზის გაცემაზე, აძლევენ ვიზაზე უარის ზემოაღნიშნულ ფორმას, რომელშიც განმარტებულია უარის საფუძველი და გასაჩივრების წესი.<sup>16</sup> სხვა საკითხია მოქალაქეთა დამოკიდებულება თავად

<sup>14</sup> ბმული იხილეთ ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის ვებ-გვერდზე: Agenda for Europe/ Visa and Mobility, [www.ei-lat.ge](http://www.ei-lat.ge)

<sup>15</sup> შესაბამისი ფორმა იხილეთ დანართში 5

<sup>16</sup> საფრანგეთის საკონსულოს მიერ გაცემული ვიზაზე უარის ფორმა

დასაბუთების ამ ფორმისადმი, როგორც აღმოჩნდა, მათ ან არ აკმაყოფილებთ განმარტება, ან არ ეთანხმებიან მოყვანილ არგუმენტებს, მაგრამ გასაჩივრებაზე მაინც ნაკლებად ფიქრობენ.<sup>17</sup>

სავიზო კოდექსით ასევე გათვალისწინებულია ვიზის გამცემი ქვეყნის ვალდებულება, სავიზო განაცხადის ფორმა შეადგინოს იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ხდება ვიზების გაცემა. მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, საქართველოში წარმოდგენილი საკონსულოების ნაწილი სავიზო განაცხადის ფორმას გვთავაზობს, საკუთარ და ინგლისურ ენებზე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - **შეთანხმების მართვის ერთობლივი კომიტეტის შექმნა**, რომელიც კომპლექტდება საქართველოსა და ევროკავშირის მიერ დანიშნული ექსპერტებისგან და განახორციელებს ხელშეკრულების იმპლემენტაციის მონიტორინგს, შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტების შემუშავებას, ხელშეკრულების დებულებათა ინტერპრეტაციას და აღსრულების პროცესში წარმოშობილი დავების გადაწყვეტას. კომიტეტი იკრიბება რომელიმე მხარის მოთხოვნისთანავე, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ინფორმაცია, რომ ქართულმა მხარემ უკვე დააკომპლექტა კომიტეტის საკუთარი შემადგენლობა და შესაბამისი სია გადაუგზავნა ევროკომისიას, რომელიც უახლოეს პერიოდში მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტში საკუთარი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ და კომიტეტის ფორმირება დასრულდება მიმდინარე წლის ივნისში.<sup>18</sup>

## **§ 2 ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ 2007-2009 წლებში საქართველოში გაცემული ვიზების სტატისტიკა**

ქვემოთ წარმოდგენილია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოში 2007, 2008 და 2009 წლებში გაცემული ვიზების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირის ქვეყნების ნაწილს არ აქვს პირდაპირი დიპლომატიური და საკონსულო სამსახური და წარმოდგენილია არაპირდაპირი წესით, სხვა ქვეყნების დიპლომატიური სამსახურების მეშვეობით. რამდენიმე სახელმწიფოს კი არანაირი წარმომადგენლობა არ აქვს საქართველოში და მათი ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე ხდება საზღვარგარეთ. შესაბამისად, მათი სტატისტიკა აქ არ არის ასახული. თუმცა, სხვა ინფორმაცია ამ მონაცემებზე არ არის ხელმისაწვდომი. ჩვენ გამოვითხოვეთ შესაბამისი ინფორმაცია საქართველოში წარმოდგენილი ყველა საკონსულოდან, მაგრამ მათი უმეტესობა ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურა, ხოლო ერთ შემთხვევაში (ჩეხეთის საელჩო) მივიღეთ ოფიციალური კორესპონდენცია,<sup>19</sup> რომლის მიხედვითაც ეს ინფორმაცია ვერ იქნება

<sup>17</sup> ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ ჩარატებული ორი მცირე მასშტაბიანი გამოკითხვა, მარტი, 2011

<sup>18</sup> ინტერვიუ: გიორგი ვაშაძე (საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე) 29/04/2011; ქეთევან ხუციშვილი (საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის “კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობის“ პროგრამის მენეჯერი) 10/05/2011; თამარ ბერუჩაშვილი (საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში) 25/05/2011

<sup>19</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე (#0022; 13/04/2011) ჩეხეთის საელჩოსაგან, ელჩის სახელით მიღებული კორესპონდენცია (18/04/2011)

გაცემული ადგილობრივი წარმომადგენლობის მიერ და ამის კომპეტენცია მხოლოდ პრაქტიკაში, ჩეხეთის შესაბამის ორგანოებს (არ არის დაზუსტებული) აქვთ.

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ეყრდნობა ევროკომისიის ოფიციალურ ინფორმაციას და ეხება წევრი ქვეყნების საქართველოში წაროდგენილი საკონსულოების მიერ A, B, C, D, D +C, VTL და ADS კატეგორიის ვიზების გაცემას.

### ვიზების კატეგორიები - განმარტება

**A კატეგორიის ვიზა** წარმოადგენს აეროპორტის სატრანზიტო ვიზას ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

**B კატეგორიის ვიზა** არის სატრანზიტო ვიზა, რომელიც მის მფლობელს შენგენის ზონის გადაკვეთის უფლებას აძლევს.

**C კატეგორიის ვიზა** მოიცავს ტურისტულ და ბიზნეს ვიზებს და განსაზღვრულია შენგენის ზონაში მოკლევადიანი ყოფნისათვის.

**D კატეგორიის ვიზა** ეროვნული ვიზაა და წევრ ქვეყნებში ხანგრძლივი ვადით ყოფნის ნებართვას ანიჭებს მფლობელს.

**D+C კატეგორიის ვიზა** აერთიანებს C და D კატეგორიის ვიზების მახასიათებლებს და მის მფლობელს წევრ ქვეყნებში ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას აძლევს.

**VTL კატეგორიის ვიზა** მხოლოდ დიპლომატიური მისიებისა და ჰუმანიტარული მიზნებისათვის გაიცემა და კონკრეტული ქვეყნების ტერიტორიითაა შეზღუდული.

**ADS კატეგორიის ვიზა** წარმოადგენს ჯგუფურ ტურისტულ ვიზას, რომელიც გაიცემა ტურისტულ სააგენტოზე მინიმუმ 5 პირისათვის და ჯგუფის ხელმძღვანელისათვის

*\*აეროპორტის სატრანზიტო ვიზა - აღნიშნული ტიპის ვიზა გაუთანაბრდა მოკლევადიანი ვიზის ტიპს და ამიერიდან მოკლევადიანი ვიზები გაიცემა ასევე სატრანზიტო მიზნებისათვისაც.<sup>20</sup> 2008 წელს A კატეგორიის ვიზა საქართველოში არც ერთი წევრი ქვეყნის საკონსულოს არ გაუცია. 2007 წელს A კატეგორიის მხოლოდ ერთი ვიზა იქნა გაცემული, ხოლო 2009 წელს ასეთი კატეგორიის ვიზა ექვსმა პირმა მიიღო.*

ასევე აღსანიშნავია, რომ ADS კატეგორიის ვიზა საერთოდ არ გაცემულა 2007 და 2009 წლებში, ხოლო 2008 წელს ჯამში მხოლოდ სამი ADS კატეგორიის ვიზა იქნა გაცემული.

B კატეგორიის ვიზის ყველაზე მეტი რაოდენობა - 1 049 ვიზა გაცემულია 2007 წელს. შემდეგ წლებში კი ამ კატეგორიის ვიზის რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო და 2009 წელს წევრი ქვეყნების საკონსულოების მიერ მხოლოდ 275 B კატეგორიის ვიზა გაიცა.

<sup>20</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველ საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ, 14/05/2010:  
[http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=95&info\\_id=12071](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=12071)

2007, 2008 და 2009 წლებში გაცემული A, B და C კატეგორიის ვიზების საერთო ჯამი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ასე მაგალითად:

2007 წელს გაიცა 55 042 ვიზა

2008 წელს – 56 495 ვიზა

2009 წელს – 51 198 ვიზა.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წელთან შედარებით 2009 წელს A, B და C კატეგორიის ვიზების გაცემაზე უარის შემთხვევები 6659-დან 10 620 -მდე გაიზარდა, რაც შესაბამისად ძირითადად ყველაზე მოთხოვნადი, C კატეგორიის ვიზების ხარჯზე მოხდა.

რაც შეეხება ჯამურად ყველა კატეგორიის ვიზის გაცემას წლების მიხედვით, სურათი ასეთია:

2007 წელს - 58 533 ვიზა

2008 წელს – 60 439 ვიზა

2009 წელს – 55 323 ვიზა.

ქვეყნების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი ვიზა გაიცა გერმანიის საკონსულოს მიერ საქართველოში. ეს ეხება თითქმის ყველა კატეგორიის ვიზას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2007 წელთან შედარებით 2008 - 2009 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა გერმანიის საკონსულოს მიერ გაცემული, სავარაუდოდ ყველაზე მოთხოვნადი C კატეგორიის ვიზების რაოდენობა. B კატეგორიის ვიზის რაოდენობა კი 2007 წელთან შედარებით 2008 წელს 4-დან 148-მდე გაიზარდა, ხოლო 2009 წელს გაცემული ამ კატეგორიის ვიზის რაოდენობამ მხოლოდ 41 შეადგინა.

სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს ევროკავშირის ქვეყნების მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოში საკუთარი დიპლომატიური სამსახურების მეშვეობით გაცემული (ასევე გაუცემელი) ვიზების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, სტატისტიკურ მონაცემებში პირდაპირ არ არის ასახული ინფორმაცია არაპირდაპირი წესით წარმოდგენილი ქვეყნების (ესპანეთი, მალტა, შვედეთი, ბელგია, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, უნგრეთი და ლუქსემბურგი) მიერ გაცემული ან გაუცემელი ვიზების შესახებ, მათი სავიზო ინფორმაცია ასახული უნდა იყოს იმ ქვეყნების სავიზო სტატისტიკაში, რომლებიც პირდაპირი წესით არიან წარმოდგენილი საქართველოში. ხოლო შესაბამისი ინფორმაცია იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული წარმომადგენლობების მეშვეობით გასცემენ ვიზებს საქართველოს მოქალაქეებზე<sup>21</sup> (ირლანდია, ავსტრია, სლოვაკეთი და კვიპროსი), არ არის ასახული მოცემულ მონაცემთა ბაზაში.<sup>22</sup>

<sup>21</sup> ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-5 ქვეთავში

<sup>22</sup> შესაბამისი მონაცემები სრული სახით იხილეთ დანართში 3

**შენგენის წევრი ქვეყნების დიპლომატიური სამსახურებისა და საკონსულოების მიერ საქართველოში მოკლევადიანი ვიზების გაცემის სტატისტიკა 2007-2009 წლები**

#	ქვეყნები	2007-2009		2007		2008		2009	
		გაიცა	უარი ეთქვა	გაიცა	უარი ეთქვა	გაიცა	უარი ეთქვა	გაიცა	უარი ეთქვა
1	ბულგარეთი*	7432	401	3273	134	2576	167	1583	100
2	გერმანია	55878	8903	20875	3398	17072	2620	17931	2885
3	ესტონეთი	2288	921	45	1	1407	508	836	412
4	იტალია	12587	900	3830	281	4503	339	4254	280
5	ლატვია	5860	1426	1489	38	2155	789	2216	599
6	ლიტვა	5468	1170	1493	84	2060	632	1915	454
7	ნიდერლანდები	11889	2470	4055	700	4018	762	3816	1008
8	პოლონეთი	7273	1295	2072	133	2525	645	2676	517
9	რუმინეთი*	1771	21	751	14	725	6	295	1
10	საბერძნეთი	16826	5166	6597	898	6419	1571	3810	2697
11	საფრანგეთი	19035	2088	5736	653	6636	826	6663	609
12	ჩეხეთი	16428	2757	4826	325	6399	1374	5203	1058
<b>სულ</b>		<b>162735</b>	<b>27518</b>	<b>55042</b>	<b>6659</b>	<b>56495</b>	<b>10239</b>	<b>51198</b>	<b>10620</b>

### § 3 ევროკავშირის მოქალაქეთა შემოსვლა საქართველოში და საქართველოს ლიბერალური სავიზო პოლიტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების საფუძველზე<sup>23</sup> 2004-2010 წლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ მოქალაქეთა რაოდენობა მთლიანობაში 547 390-ს შეადგენს, საიდანაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შემდეგ ქვეყნებზე ნაწილდება:

გერმანია - 90 826 მოქალაქე  
დიდი ბრიტანეთი - 65 506  
საბერძნეთი - 79 713  
ბულგარეთი - 48 572  
საფრანგეთი - 41 096

ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიდან შემოსულ მოქალაქეთა რაოდენობა მოცემულ პერიოდში 30 000-ზე ნაკლებია. ამ მხრივ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ კვიპროსს (1377) მალტასა (533) და ლუქსემბურგს (434).

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მოქალაქეთა შემოსვლის დინამიკა შეგვიძლია განვიხილოთ, პირობითად, ორი პერიოდისათვის: 2004-2006 წლები და 2006-2010 წლები, რამდენადაც 2006 წელი ერთგვარი წყალგამყოფია საქართველოს მიერ ევროკავშირთან ცალმხრივად განხორციელებული ვიზების ლიბერალიზაციის გამო.

2004-2006 წლებში ზემოთ დასახელებული ხუთივე ქვეყნისათვის (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და საფრანგეთი) ზრდადი დინამიკა ფიქსირდება. ხუთივე შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 2004-დან 2005 წლამდე უმნიშვნელოდ იზრდებოდა. ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით ზრდის სწრაფი ტემპი შეინიშნება. ასეთივე სურათი შენარჩუნებულია ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების შემთხვევაშიც. საქართველოს მხოლოდ 2 ქვეყანასთან აქვს მცირედ უარყოფითი დინამიკა, ესენია: ავსტრია (2005წ. – 2259 მოქალაქე, 2006 წ. – 2087 მოქალაქე) და პორტუგალია (2004წ. – 216 მოქალაქე, 2005 წ. – 161 მოქალაქე).

2006-2010 წლებში დასახელებული ხუთი ქვეყნიდან, ორ მათგანთან - საბერძნეთი და საფრანგეთი - ცალსახად ზრდადი დინამიკა შეინიშნება, ხოლო გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და ბულგარეთის შემთხვევაში არის ჩავარდნები, ძირითადად 2008 წელს (მაგალითად, გერმანია: 2007 წ. – 14 081 მოქალაქე, 2008წ. – 13 267 მოქალაქე, შემდეგ წლებში ისევ დადებითი დინამიკაა), თუმცა აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ჩამოსული მოქალაქეების რაოდენობა, საბოლოო ჯამში, მაინც ბევრად აღემატება წინა სამწლიანი პერიოდის მონაცემებს.

მთლიანობაში, ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ მოქალაქეთა რიცხვი 2004-2006 წლებში შეადგენს 175 074-ს, ხოლო 2007-2010 წლებისათვის ეს მაჩვენებელი 372 316-ია.

<sup>23</sup> შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო; *საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა სტატისტიკური მონაცემები*, 29/03/2011.

ცალკეული წლების მიხედვით დინამიკა, საერთო ჯამში, დადებითია. მაგალითისთვის, თუ 2005 წელს სულ შემოვიდა 48 508 პირი, 2010 წელს ეს რიცხვი 108 749-მდე გაიზარდა.

საქართველომ საკუთარი ლიბერალური სავიზო პოლიტიკის გატარება დაიწყო 2006 წელს 1 ივნისიდან, როდესაც ძალაში შევიდა საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული კანონის თანახმად, ევროკავშირის და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოქალაქეებს მოეხსნათ სავიზო შეზღუდვები და მიეცათ საქართველოში თავისუფლად შემოსვლისა და გადაადგილების უფლება 90 დღის ვადით. მოგვიანებით, აღნიშნული ვადა 90 დღიდან გაიზარდა 360 დღემდე და დღეს მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია ვიზის გარეშე შემოვიდეს და თითქმის ერთი წლის მანძილზე დარჩეს საქართველოში დამატებითი დოკუმენტების გარეშე.

ბოლო წლებში საქართველოში ევროკავშირის მოქალაქეთა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა, შესაძლოა, განვიხილოთ აღნიშნული ლიბერალური სავიზო პოლიტიკის დამსახურებად. .

#### **§ 4 საზოგადოების ინფორმირებულობა ევროკავშირთან ვიზების გამარტივების საკითხზე**

შეთანხმების ხელმოწერამდე და შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგაც ქართული ბეჭდური და ელექტრონული მედია აშუქებდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პროცესებს. ელექტრონულ მედიაში რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა ამ თემას ხელშეკრულების ამოქმედების დღეს. ჩვენს მიერ ჩატარებულმა ბეჭდვითი მედიის ანალიზმა<sup>24</sup> აჩვენა, რომ იყო როგორც საინფორმაციო, ასევე ანალიტიკური სტატიები.

იმის გასარკვევად, თუ რა ფორმით ჰპოვა ასახვა ამ ინფორმაციამ მოსახლეობაში, ჩვენ ჩავატარეთ ორი მცირე მასშტაბიანი კვლევა, შესაბამისად ორ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან: 1) ვიზის მიღებით უშუალოდ დაინტერესებულ პირებთან<sup>25</sup> (ევროკავშირის საკონსულოების წინ) და 2) შემთხვევით შერჩეული მოქალაქეებთან<sup>26</sup> (თბილისის ხალხმრავალ ადგილებში, მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებთან).

მართალია, ამგვარი გამოკითხვა (მასშტაბისა თუ ხერხების მიხედვით) ვერ უზრუნველყოფს რეპრეზენტატულობას და სრულ სურათს ვერ ასახავს, მაგრამ შედეგების განზოგადება შესაძლოა გამოდგეს ზოგად ინდიკატორად, თუ რა ვითარება იყო ინფორმირების მხრივ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ მოკლე პერიოდში.

<sup>24</sup> ჟურნალები: ლიბერალი და ტაბულა, გაზეთები: „Georgia Today“, „რეზონანსი“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „მთელი კვირა“, „Weekend“ და „The Messenger“, 2011 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით.

<sup>25</sup> გამოკითხვის ადგილი: გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ლატვიისა საბერძნეთის საკონსულოების მიმდებარე ტერიტორიები. რესპოდენტთა რაოდენობა: 64 პირი, გამოკითხვის პერიოდი: 2011 წლის 17-28 მარტი, საკონსულოებთან გამოკითხული რესპოდენტების 51% ქალი, ხოლო 49% მამაკაცია. ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი 48%-ს 25-დან 40 წლამდე.

<sup>26</sup> გამოკითხვის ადგილი: თავისუფლების მოედანი, ვაგზლის მოედანი, მეტრო სადგურ ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორია, მეტრო სადგურ ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორია, პეკინის გამზირი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია. რესპოდენტთა რაოდენობა: 60 პირი; გამოკითხვის თარიღი: 2011 წლის 22-25 მარტი. გამოკითხულთა 60% ქალი, ხოლო 40% მამაკაცია. ასაკობრივი ჯგუფების თვალსაზრისით, რეპრეზენტატულობა მეტ-ნაკლებად დაცულია.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი წარმოადგენდა 18-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს, მათ შორის უნივერსტეტის სტუდენტებს. აღმოჩნდა, უმრავლესობა ინფორმირებულია ხელშეკრულების ამოქმედების შესახებ, თუმცა ორივე შემთხვევაში მათი უმრავლესობისათვის უცნობია ან ბუნდოვანი მისი შინაარსი, კონკრეტული პირობები და პროცედურები. რესპოდენტთა პირველი (პირობითი) კატეგორიის 87% და მეორე კატეგორიის 71% ფლობდა ინფორმაციას ხელშეკრულების ამოქმედების შესახებ. აქედან პირველ შემთხვევაში 30%-ისთვის იყო ცნობილი ერთი ან რამდენიმე კონკრეტული გამარტივებული პროცედურა, კერძოდ, ვადებისა და მოსაკრებლის შემცირების შესახებ, მაგრამ მხოლოდ 9% იყო ინფორმირებული ვიზის გაცემაზე უარის შემთხვევაში უარის გასაჩივრების შესაძლებლობისა და პროცედურების შესახებ.

სავიზო განაცხადების დიდი ნაწილის მიზანი ისევ ტურისტულია, რაც არ არის გათვალისწინებული ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულებაში. შემდეგ ყველაზე მოთხოვნად მიზნობრივ კატეგორიას საქმიანი და სასწავლო ვიზები წარმოადგენს.

მეორე ჯგუფში, მხოლოდ 11%-ს ჰქონდა ზოგადი წარმოდგენა ხელშეკრულების შინაარსზე. საყურადღებოა ისიც, რომ მეორე კატეგორიაში გამოკითხულმა ერთერთმა რესპოდენტმა, რომელმაც მოსაკრებლის შემცირება და გაუქმება განსაკუთრებით პრიორიტეტულად გამოყო, აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ამოქმედებამდე მან პოლონეთის ვიზის მოსაპოვებლად 3150 აშშ დოლარი გადაიხადა და მისივე განმარტებით, აღნიშნული თანხიდან 150 აშშ დოლარი ვიზის ოფიციალური ღირებულება იყო, დანარჩენი 3000 აშშ დოლარი კი “იმისთვის გადაიხადა რომ ვიზა მიეღო,” რაც საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო ბევრი მოქალაქისათვის, ვინც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სამუშაო მიზნით მიემგზავრებოდა.

ამგვარად, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ბუნებრივად გამოიკვეთა, რომ დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი გაცილებით უკეთ არის ინფორმირებული, ვიდრე საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც პირდაპირი ინტერესი არ გააჩნია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. თუმცა ორივე შემთხვევაში თვალში საცემია კვალიფიციური ინფორმაციის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასწორ წარმოდგენებს უყრის საფუძველს საზოგადოებაში. ინფორმაციის წყარო, ძირითადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. ვიზების გამარტივების შესახებ ინფორმაცია მასმედიის საშუალებით შეიტყო გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, საკუთარი ნაცნობებ-მეგობრებისგან მხოლოდ მცირე ნაწილმა, ხოლო საელჩოებიდან და საკონსულოებიდან - რესპოდენტთა 5%-ზე ნაკლებმა. შესაბამისად, გადავამოწმეთ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის საქართველოს მოქალაქეებს საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები ახლადამოქმედებული შეთანხმებისა და გამარტივებული პროცედურების შესახებ, რასაც მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ.



**§ 5 საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების საერთო მიმოხილვა**

2011 წლის 13 აპრილის მდგომარეობით საქართველოში აკრედიტებულია ევროკავშირის 14 ქვეყნის საელჩო, ეს ქვეყნებია: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ჩეხეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი.

საქართველოში პირდაპირი წესით წარმოდგენილია ევროკავშირის 13 ქვეყნის საკონსულო, ესენია: ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი და ჩეხეთი.

არაპირდაპირი წესით წარმოდგენილი ევროკავშირის ქვეყნების საკონსულოთა რაოდენობა შეადგენს 10-ს, კერძოდ: ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი (აღნიშნული ქვეყნების ვიზებსას გასცემს გერმანიის საკონსულო), დანია (ვიზას გასცემს ესტონეთის საკონსულო), მალტა (ვიზას გასცემს იტალიის საკონსულო), შვედეთი, უნგრეთი (ვიზებს გასცემს ლატვიის საკონსულო), ბელგია, ლუქსემბურგი (ვიზებს გასცემს ნიდერლანდების საკონსულო) და სლოვენია (ვიზას გასცემს პოლონეთის საკონსულო).

ევროკავშირის 4 ქვეყნის ვიზის მიღება კი შესაძლებელია საზღვარგარეთ არსებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოებში, კერძოდ: ავსტრიის ვიზის მიღება შესაძლებელია ქ. სტამბულსა და ქ. კიევში განთავსებულ ავსტრიის საკონსულოებში, ირლანდიის შემთხვევაში შესაბამისი საკონსულო განთავსებულია ქ. სოფიაში, სლოვაკეთის საკონსულო – ქ. ანკარასა და ქ. კიევში, ხოლო კვიპროსის საკონსულო – ქ. ათენსა და ქ. კიევში.<sup>27</sup>

საქართველოში აკრედიტებული და არაპირდაპირი წესით საქართველოში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოები			
საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოები	შუამავლობით წარმოდგენილი საკონსულოები		
ბულგარეთი			
გერმანია	ესპანეთი	პორტუგალია	ფინეთი
დიდი ბრიტანეთი			
ესტონეთი	დანია		
იტალია	მალტა		
ლატვია	შვედეთი	უნგრეთი	
ლიტვა			
ნიდერლანდები	ბელგია	ლუქსემბურგი	
პოლონეთი	სლოვენია		

<sup>27</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, (#3/978-22; 12/04/2011)

რუმინეთი		
საბერძნეთი		
საფრანგეთი		
ჩეხეთი		
<b>საზღვარგარეთ არსებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოები რომლებიც გასცემენ ვიზებს საქართველოს მოქალაქეებზე</b>		
ევროკავშირის წევრი ქვეყანა	აკრედიტებული საკონსულოები	
ავსტრია	თურქეთი, ქ. სტამბული	უკრაინა, ქ. კიევი
ირლანდია	ბულგარეთი, ქ. სოფია	
სლოვაკეთი	თურქეთი, ქ. ანკარა	უკრაინა, ქ. კიევი
კვიპროსი	საბერძნეთი, ქ. ათენი	უკრაინა, ქ. კიევი

საქართველოში წარმოდგენილი ევროკავშირის 14 ქვეყნის საელჩოდან საკუთარი ვებ-გვერდი გააჩნია 11 საელჩოს:

გერმანიას (<http://www.tiflis.diplo.de>), საფრანგეთს ([www.ambafrance-ge.org](http://www.ambafrance-ge.org)), იტალიას ([www.ambtbilisi.esteri.it](http://www.ambtbilisi.esteri.it)), საბერძნეთს ([www.greekembassy.ge](http://www.greekembassy.ge)), ნიდერლანდებს ([georgia.nlembassy.org](http://georgia.nlembassy.org)), ჩეხეთს ([www.mzv.cz/tbilisi](http://www.mzv.cz/tbilisi)), პოლონეთს ([www.tbilisi.polemb.net](http://www.tbilisi.polemb.net)), ლიტვას ([ge.mfa.lt](http://ge.mfa.lt)), ესტონეთს ([www.tbilisiivm.ee](http://www.tbilisiivm.ee)), უნგრეთს ([www.mfa.gov.hu/emb/tbilisi](http://www.mfa.gov.hu/emb/tbilisi)), შვედეთს ([www.swedenabroad.com/tbilisi](http://www.swedenabroad.com/tbilisi)) და დიდ ბრიტანეთს ([www.ukingeorgia.fco.gov.uk/en](http://www.ukingeorgia.fco.gov.uk/en)), სადაც შესაძლებელია ვიზების გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება. რუმინეთისა და ბულგარეთის საელჩოებს ოფიციალური ვებ-გვერდი არ აქვთ, ლატვიის შემთხვევაში კი ვიზებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აღნიშული ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mfa.gov.lv](http://www.mfa.gov.lv)).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გამარტივების შესახებ დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2011 წლის 28 თებერვლის მდომარეობით, ევროკავშირის ოთხი ქვეყნის (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და საბერძნეთი, რომელთა ვიზები ყველაზე მოთხოვნადია საქართველოს მოქალაქეებისათვის სამუშაო, ტურისტული, სასწავლო და სხვა მიზნებიდან გამომდინარე) საელჩოდან მხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოების ვებ-გვერდებზე იყო შესაძლებელი სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება ვიზების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურებისა და საჭირო დოკუმენტების შესახებ. საბერძნეთის საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ძალზე მწირი ინფორმაციაა განთავსებული. ასევეა იტალიის საელჩოს ვებ-გვერდზეც, სადაც მითითებულია, რომ დაინტერესებულ მოქალაქეებს კონკრეტული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იტალიის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ვებ-გვერდებზე.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გამარტივების შესახებ დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, 2011 წლის 15 აპრილისა და 2011 წლის 1 ივნისის მდგომარეობით ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოხდა ვიზების გაცემასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციის განახლება, სადაც აისახა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურები, როგორცაა: სავიზო განაცხადის განხილვის ვადებისა და საფასურის შემცირება, 12 კატეგორიის პირის სავიზო მოსაკრებელისაგან გათავისუფლება, ვიზის გაცემაზე უარის შემთხვევაში მისი დასაბუთების ვალდებულება და გასაჩივრების პროცედურების არსებობა. აღნიშნული სიახლეები ყველაზე სრულყოფილად გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზეა განთავსებული.

საკუთარ ვებ-გვერდებზე განახლებული ინფორმაცია წარმოადგინა ევროკავშირის 8 ქვეყნის საელჩომ: საფრანგეთის, პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის (ამ შემთხვევაში ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი, რადგან ლატვიის საელჩოს თავისი ოფიციალური ვებ-გვერდი არ გააჩნია), ჩეხეთის, ესტონეთის (ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ინგლისურ და რუსულ ენებზე), ნიდერლანდების და შვედეთის (სადაც ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ინგლისურ ენაზე) საელჩოებმა. ევროკავშირის სამი ქვეყნის – იტალიის, საბერძნეთისა და უნგრეთის – საელჩოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არ არის მოწოდებული ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურების თაობაზე და შესაბამისად, ვიზის მიღებასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია მოიპოვება მხოლოდ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არსებული მდგომარეობით. იტალიის საელჩოს ვებ-გვერდზე მითითებულია მხოლოდ იმის შესახებ, რომ შენგენის ვიზის ღირებულება შეადგენს 35 ევროს. რუმინეთისა და ბულგარეთის საელჩოებს საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდები არ გააჩნიათ.

მიმდინარე წლის 13-14 აპრილს საქართველოში წარმოდგენილი ევროკავშირის ქვეყნების საკონსულოებში ადგილზე არსებული ვითარების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული საკონსულოებიდან მხოლოდ სამი მათგანის - გერმანიის, საფრანგეთისა და ლიტვის საინფორმაციო ვიტრინებზეა განთავსებული სრულყოფილი ინფორმაცია ვიზების გაცემის ახალი პროცედურების შესახებ, რასაც ითვალისწინებს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ დადებული ხელშეკრულება.

ევროკავშირის 9 ქვეყნის საკონსულოს საინფორმაციო ვიტრინაზე განთავსებულია ვიზების გაცემის მხოლოდ ძველი წესები. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფილად მხოლოდ ჩეხეთის, ბულგარეთის, ნიდერლანდების, იტალიისა და საბერძნეთის საკონსულოებს აქვთ წარმოდგენილი. საბერძნეთის საკონსულოს საინფორმაციო ვიტრინაზე განთავსებულია საკმაოდ საინტერესო განცხადება: “საკონსულოს არავითარი კავშირი არა აქვს კერძო ტურისტულ ოფისებთან!“, არც ერთ სხვა საკონსულოში მსგავსი შინაარსის განცხადება არ გვხვდება.

რუმინეთის, ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის საკონსულოების საინფორმაციო ვიტრინაზე განთავსებული ძველი ინფორმაციაც კი ძალზე მწირია. კერძოდ, რუმინეთის შემთხვევაში ეს არის მხოლოდ ანკეტის ნიმუში, ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევაში - ზოგადი ინფორმაცია ვიზებისათვის საჭირო დოკუმენტების შესახებ, პოლონეთის

საკონსულოს საინფორმაციო ვიტრინაზე კი განთავსებულია მხოლოდ საინფორმაციო ფურცელი, სადაც მითითებულია მხოლოდ ტელეფონის ნომერი და საელჩოს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი.

შვედეთისა და უნგრეთის საელჩოებს საკონსულო განყოფილებები არ აქვთ, და შესაბამისად არც სავიზო ინფორმაციაა განთავსებული საელჩოების ვიტრინებზე.

საკონსულოებში ვიზების გაცემის პროცედურების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფისა და საკონსულოს თანამშრომელთა მომსახურების ხარისხის შემოწმების მიზნით საელჩოებსა და საკონსულოებში განხორციელებული სატელეფონო ზარების შედეგად გაირკვა, რომ გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ჩეხეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ბულგარეთის საელჩოებში/საკონსულოებში ვიზების გაცემის პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება არ ხდება ტელეფონით. ამასთან, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ლიტვისა და ბულგარეთის შემთხვევაში ოპერატორები დაინტერესებულ პირებს ურჩევენ, პირადად მიაკითხონ შესაბამის საკონსულოს და ადგილზე გაეცნონ საჭირო ინფორმაციას. საბერძნეთის, ლატვიისა და ესტონეთის შემთხვევაში კი მითითება ხდება შესაბამისი საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. იტალიისა და ნიდერლანდების საკონსულოებში ზარს პასუხობს ავტომოპასუხე, რომელიც სავიზო საკითხებით დაინტერესებულ პირს ინფორმაციის მისაღებად უთითებს საინფორმაციო ნომერზე, რომლის ღირებულება შეადგენს 3 ლარს. რუმინეთის საკონსულო ერთადერთია, სადაც ტელეფონის მეშვეობით შესაძლებელია ვიზების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება. რაც შეეხება პოლონეთის, შვედეთისა და უნგრეთის საკონსულოებს, ოპერატორის მიერ ხდება ზარის გადამისამართება სხვა საკონტაქტო ნომერზე (შვედეთისა და უნგრეთის შემთხვევაში - ლატვიის საკონსულოში).

სატელეფონო კომუნიკაციისას ადმინისტრაციული პერსონალის თავაზიანობის ხარისხი საკმაოდ მაღალია ყველა საკონსულოში, განსაკუთრებით კი გერმანიის, საფრანგეთისა და ჩეხეთის საკონსულოებში. რაც შეეხება კომუნიკაციის ენას, პოლონეთის საკონსულოში ეს არის რუსული ხოლო, ლატვიის, ესტონეთისა და რუმინეთის საკონსულოებში - ინგლისური.

გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის საკონსულოებთან ჩატარებული მოქალაქეთა გამოკითხვის დროს მოქალაქეთა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა ინტერვიუზე. საბერძნეთის საკონსულოში არსებული ვითარება კი ამ თვალსაზრისით მეტად განსხვავებულია. აქ მოქალაქეთა უმრავლესობა გამოხატავდა განსაკუთრებულ უნდობლობას და ნებისმიერ კითხვას თავს არიდებდა. ამიტომ, აქ ყველაზე ნაკლები ინტერვიუს გაკეთება მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტჯერ სწორედ საბერძნეთის საკონსულოში ვცადეთ ამის გაკეთება. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ საბერძნეთის საკონსულოს შესასვლელთან იდგა რამდენიმე პირი, ვინც ცდილობდა საკონსულოსთან მოსული ვიზის მიღებით დაინტერესებული თითოეული მოქალაქის გვერდზე გახმობას და მათთვის გარკვეული სახის მომსახურების შეთავაზებას. ამ პირებმა, ისევე როგორც რესპონდენტებმა თავი აარიდეს პასუხს, თუ კონკრეტულად რა მომსახურებას გულისხმობდა აღნიშნული შეთავაზება. ერთ-ერთი ბუნდოვანი გამარტებით, ვიზისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებაზეც იყო საუბარი. თუმცა, აღსანიშნავია ის რომ მსგავსი რამ სხვა საკონსულოებში არ გვხვდება და აღნიშნული ფაქტი ერთგვარად გაუგებარ ვითარებას ქმნის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეძლება ითქვას, რომ ევროკავშირთან ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ დადებული შეთანხმების შესახებ წვერი ქვეყნების საკონსულოების მიერ მოქალაქეებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გერმანიის საკონსულო, რომელსაც აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული აქვს ყველა შესაძლო საშუალებით. შესაბამისად, არ ხორციელდება ევროკავშირ-საქართველოს შეთანხმებითა და ევროპის სავიზო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულება, სავიზო პროცედურების თაობაზე საზოგადოების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად ინფორმირების შესახებ. აღნიშნული გარემოება შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ამ ეტაპზე შეთანხმების ეფექტური იმპლემენტაციისათვის.

### **თავი III - მოქალაქეთა რეადმისია**

#### **§ 1 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, 2010 წლის 22 ნოემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, რომელიც სარატიფიკაციო პროცედურების დასრულების შემდეგ, ვიზების გამარტივების ხელშეკრულებასთან ერთად, ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 მარტიდან.

შეთანხმების ძირითადი მიზანია გააძლიეროს ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობა უკანონო მიგრაციის წანააღმდეგ ბრძოლის საკითხში. რეადმისიის ხელშეკრულება ითვალისწინებს სწრაფ და ეფექტურ პროცედურებს იმ პირთა იდენტიფიცირებისა და ორგანიზებული დაბრუნებისათვის, რომლებიც ვერ ან ვეღარ აკმაყოფილებენ საქართველოს ან ევროკავშირის რომელიმე წვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ევროკავშირის მხრიდან შეთანხმებას მონაწილე ქვეყნები არიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი და ჩეხეთი.

რეადმისიის ხელშეკრულების დებულებები არ ვრცელდება ირლანდიაზე და დანიის სამეფოზე, მანამ სანამ ისინი შეტყობინების სახით თვითონ არ გამოთქვამენ სურვილს შეურთდნენ აღნიშნულ შეთანხმებას.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ რეადმისიის შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია იმ მსგავს ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე არსებობს ან შეიძლება დაიდოს ცალკეულ წვერ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხელშეკრულებების დებულებები წინააღმდეგობაში მოვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ამ შეთანხმებასთან.

რეადმისიის ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული ჰქონდა გერმანიასთან (2008), იტალიასთან (ხელმოწერილია 1997 წელს, ძალაში არ შესულა), ლატვიასთან (2009), ბულგარეთთან (2003). გარდა ამისა, საქართველოს ამგვარი შეთანხმება აქვს ასევე შვეიცარიასთან (2005), რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ გაერთიანებულია შენგენის სივრცეში.<sup>28</sup>

რეადმისიის ხელშეკრულება ავალდებულებს როგორც საქართველოს მხარეს, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ხელი შეუწყონ თავიანთი მოქალაქეების რეადმისიის პროცესის ეფექტურ განხორციელებას. ამასთან, შეთანხმება არ ზღუდავს მხარეთა იმ უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლიდან, კერძოდ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენციიდან და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციიდან.

რეადმისიის ხელშეკრულება ითვალისწინებს ორი კატეგორიის პირთა უკან დაბრუნების ვალდებულებას:

1) საკუთარი მოქალაქეების რეადმისია, და

2) მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისია.

პირველ შემთხვევაში, საქართველო და ევროკავშირი განაცხადის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან განახორციელონ ყველა იმ პირის რეადმისია, რომლებიც ვერ ან უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ მოთხოვნის წარმდგენი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ცხოვრების მოთხოვნებს, იმ პირობით თუ დამტკიცდება, ან ივარაუდება *prima facie*<sup>29</sup> მტკიცებულებათა წარდგენის შემთხვევაში, რომ ეს პირები საქართველოს ან ევროკავშირის მოქალაქეები არიან. ეს ვალდებულება ასევე ვრცელდება ზემოაღნიშნული პირების არასრულწლოვან დაუქორწინებელ შვილებზე და მეუღლეებზე, თუ მათ არ გააჩნიათ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოში ცხოვრების დამოუკიდებლად მიღებული უფლება, ან ბინადრობის ნებართვა. რეადმისიის ვალდებულება ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებსაც ჩამოერთვათ, ან რომლებმაც დაკარგეს ან უარი თქვეს საქართველოს/ევროკავშირის მოქალაქეობაზე წარმდგენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მიღებული ჰქონდათ თუნდაც ნატურალიზაციის პირობა.

რაც შეეხება მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და მოქალაქეობის დამადასტურებელ *prima facie* მტკიცებულებებს, მათი ჩამონათვალი სრულად არის მოცემული ხელშეკრულების პირველ და მეორე დანართებში.

---

<sup>28</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული კორესპონდენცია (#3/854-22; 30/03/2011)

მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი: ნებისმიერი ტიპის პასპორტი, პირადობის მოწმობა, მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა, ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ან მკაფიოდ არის მითითებული მოქალაქეობა.

მოქალაქეობის დამადასტურებელ *prima facie* მტკიცებულებებზე გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა (მათ შორის 6 თვის ვადაგასული დოკუმენტების), შეიძლება ჩაითვალოს მართვის მოწმობები, დაბადების მოწმობები, კომპანიის საიდენტიფიკაციო ბარათები და მათი ფოტოასლები, ასევე მოწმეთა ჩვენებები, ენა, რომელზედაც დაკავებული პირი საუბრობს, ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი და ჩვენება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს პირის მოქალაქეობის დადგენას.

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისიის ვადებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ რეადმისიის განაცხადის წარდგენის დროს ეს პირები ფლობდნენ საქართველოს ან წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ მოქმედ ვიზას ან ბინადრობის ნებართვას; თუ საქართველოს/წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის ან მისი ტერიტორიის ტრანზიტით გავლის შემდეგ, უკანონოდ და პირდაპირ შევიდნენ წევრ სახელმწიფოთა/საქართველოს ტერიტორიაზე. რეადმისიის ეს ვადებულება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ: მესამე ქვეყნის მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა გადაკვეთა მხოლოდ საჰაერო ზონა საერთაშორისო აეროპორტის გავლით; მოთხოვნის წარმდგენმა სახელმწიფომ მესამე ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე გასცა მოქმედი ვიზა ან ცხოვრების ნებართვა; მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი გააძევა თავისი წარმომავლობის ქვეყანაში, ან მესამე სახელმწიფოში.

იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეადმისიის გარემოებათა დამადასტურებელ საბუთს და რეადმისიის გარემოებათა დამადასტურებელ *prima facie* მტკიცებულებას, მოცემულია ხელშეკრულების მე-3 და მე-4 დანართში.

რეადმისიის გარემოებათა დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გაცემული მოქმედი ვიზა და/ან ცხოვრების ნებართვა; პირის სამგზავრო დოკუმენტში შესვლის/გასვლის დამადასტურებელი ბეჭედი ან სხვა მსგავსი აღნიშვნა. რეადმისიის გარემოებათა დამადასტურებელ *prima facie* მტკიცებულებებზე შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ იმ გარემოებათა და ადგილის აღწერა, სადაც მოხდა პირის დაკავება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი შესვლის შემდეგ; საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პირის ვინაობასთან და/ან ქვეყანაში მის ყოფნასთან დაკავშირებით; ოჯახის წევრების, თანმხლები პირების და სხვების მიერ ინფორმაციის მოწოდება/დადასტურება; მოცემული პირის ჩვენება; პირის მიერ სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიცემული ოფიციალური ჩვენება, სხვადასხვა სახის სახელობითი სამგზავრო ბილეთები და მგზავრთა სიები, საშვები, ცნობები და სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც იძლევიან პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

რეადმისიის ხელშეკრულებაში საკმაოდ კარგად არის გაწერილი რეადმისიის პროცედურები, ვადები, გადაცემის ფორმები და ტრანსპორტირების სახეები. რეადმისიის პროცედურები

იწყება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსთვის რეადმისიის განაცხადის წარდგენით. რეადმისიის განაცხადი უნდა შეიცავდეს რეადმისიის დაქვემდებარებული პირის მონაცემებს და ინფორმაციას რეადმისიის გარემოებათა დამადასტურებელი საბუთებისა და *prima facie* მტკიცებულებების შესახებ. რეადმისიის განაცხადი მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს უნდა წარედგინოს მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში, იმ დღიდან რა დღიდანაც შესაბამისი მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ პირი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნებს. თუ განაცხადის დროულად წარდგენას ხელს უშლის რაიმე იურიდიული ან ფაქტობრივი გარემოება, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მხოლოდ დაბრკოლების აღმოფხვრამდე. რეადმისიის განაცხადზე პასუხი უნდა გაიცეს 12 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შეტანილ იქნა დაჩქარებული წესით, მასზე პასუხი გაიცემა 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

რეადმისიის განაცხადზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო ვალდებულია პირის გადაცემა უზრუნველყოს 3 თვის განმავლობაში და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს პირის გადაცემამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს მისი გადაცემის დრო, შესვლის პუნქტი, შესაძლო ესკორტი და გადაცემასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. რეადმისირებული პირის ტრანსპორტირება შეიძლება განხორციელდეს საჰაერო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებით.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პირდაპირი დაბრუნება დანიშნულების ქვეყანაში, წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შეუძლიათ გამოიყენონ ტრანზიტი, სხვა ქვეყანაზე გავლით ასეთი პირების დანიშნულების ადგილზე ჩასაყვანად.

რეადმისიასთან დაკავშირებული ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის ყველა ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს.

რეადმისიის შეცდომით განხორციელების შემთხვევაში, ხელშეკრულება ავალდებულებს მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს პირის გადაცემიდან 6 თვის, ხოლო მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა შემთხვევაში 12 თვის განმავლობაში უკან დაიბრუნოს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოსათვის გადაცემული პირი.

ხელშეკრულება ითვალისწინებს პირადი მონაცემების დაცვის ვალდებულებას. პირადი მონაცემების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საქართველოს ან წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ რეადმისიის შეთანხმების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია ცალკეულ საკითხებზე საიმპლემენტაციო ოქმების შემუშავება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი შემუშავება ხდება ინდივიდუალურად, ქვეყნების მიხედვით და მხოლოდ მათი მოთხოვნის საფუძველზე.

რეადმისიის შეთანხმების გამოყენებასა და ინტერპრეტაციაში დახმარებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის შექმნა, რომელს შემადგენლობაშიც იქნებიან ევროკავშირისა და საქართველოს წარმომადგენლები.



ერთობლივი კომიტეტი გააკონტროლებს შეთანხმების გამოყენებას, განსაზღვრავს განხორციელების ზომებს, რომლებიც აუცილებელია შეთანხმების ერთგვაროვანი გამოყენებისათვის, უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას იმ სამპლემენტაციო ოქმების შესახებ, რომლებიც რეადმისიის შეთანხმების შესაბამისად შედგენილია ცალკეული წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს მიერ, წარმოადგენს შესწორებებს შეთანხმებასა და მის დანართებში. კომიტეტი იკრიბება საჭიროებისამებრ, ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეებისათვის.

არსებული ინფორმაციით, ქართულმა მხარემ უკვე დააკომპლექტა კომიტეტის საკუთარი შემადგენლობა და შესაბამისი სია გადაუგზავნა ევროკომისიას, რომელიც უახლოეს პერიოდში მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტში საკუთარი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ და კომიტეტის ფორმირება დასრულდება მიმდინარე წლის ივნისში.<sup>30</sup>

## **§ 2 ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული ელექტრონული ფულადი გზავნილები**

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების<sup>31</sup> საფუძველზე ირკვევა, რომ 2006-2010 წლებში საზღვარგარეთიდან (იგულისხმება, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ისე სხვა სახელმწიფოები: აშშ, რუსეთი, თურქეთი და სხვა) საქართველოში განხორციელებული ელექტრონული ფულადი გზავნილების<sup>32</sup> საერთო რაოდენობა შეადგენს 4,202,972 ათას აშშ დოლარს, რაც ამ წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-დან 8.5%-მდე მერყეობს. ევროკავშირზე მოდის ამ თანხის მხოლოდ 17.05% (717,022 ათას აშშ დოლარს), ხოლო დანარჩენი 82.95% (3,485,950 ათას აშშ დოლარს) - სხვა სახელმწიფოებზე. საყურადღებოა, რომ აქედან 60.15% (2,527,801 ათას აშშ დოლარი) არის რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემაში არსებული ელექტრონული გზავნილებისა და საბანკო გზით გადარიცხვების წილი 70 პროცენტს არ აღემატება. გადარიცხვების სიხშირე კი ძირითადად ყოველთვიურია ან ორ თვეში ერთხელ ხორციელდება. ცალკეული წლების მიხედვით, მოცემულ პერიოდში, ევროკავშირიდან შემოსული ფულადი გზავნილების მაჩვენებელი ცალსახად ზრდად დინამიკას გვაძლევს. რაც შეეხება საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან შემოსულ ფულად გზავნილებს, აქაც დადებითი დინამიკა შეინიშნება, გარდა 2009 წლისა, როდესაც 2008 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებიდან ჯამში ყველაზე დიდი რაოდენობის ფულადი გზავნილი 2010 წელს შემოვიდა, რაც 2006-2010 წლებში შემოსული მთელი თანხის

<sup>30</sup> ინტერვიუ: გიორგი ვაშაძე (საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე) 29/04/2011; ქეთევან ხუციშვილი (საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის "კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობის" პროგრამის მენეჯერი) 10/05/2011

<sup>1</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; (#2-03/724-11; 24/02/2011)

<sup>32</sup> ფულადი გზავნილები ასახავს საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედი ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებებით (Western Union, Money Gram, Anelik, Caucasus Express და სხვა) საზღვარგარეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობას.

26.32%-ს (188,702 ათას აშშ დოლარს) შეადგენს, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან - 2008 წელს და მთელი თანხის 24.34% (848,602 ათას აშშ დოლარს) შეადგინა.

ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ქვეყანა, რომლებზეც მოდის ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ესენია: 1) საბერძნეთი, 2) იტალია, 3) ესპანეთი, 4) გერმანია, 5) კვიპროსი და 6) დიდი ბრიტანეთი. აქედან 2006-2010 წლებში ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან გამოგზავნილი საერთო თანხის:

- 29.46% - საბერძნეთი (211,249 ათასი აშშ დოლარი)
- 22.79%- იტალია (163,406 ათასი აშშ დოლარი)
- 14.54% - ესპანეთი (104,281 ათასი აშშ დოლარი)
- 6.12% - გერმანია(43,850 ათასი აშშ დოლარი)
- 5.98 % - კვიპროსი - (42,901 ათასი აშშ დოლარი)
- 5.04% - დიდი ბრიტანეთი - (36,119 ათასი აშშ დოლარი)

რაც შეეხება ევროკავშირის სხვა ქვეყნებს, მათგან განხორციელებული ფულადი გზავნილები ზემოაღნიშნული ქვეყნების მონაცემებთან შედარებით ბევრად ნაკლებია. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ირლანდიას (3.29%, 23,603 ათასი აშშ დოლარი), ხოლო ყველაზე დაბალი – ლუქსემბურგს (0.01%, 80 ათასი აშშ დოლარი).

ცალკეული წლების მიხედვით კი ასეთი სურათი გვაქვს: მოცემულ პერიოდში, ფულადი გზავნილების მოცულობის თვალსაზრისით, მხოლოდ ხუთი ქვეყნის (საბერძნეთი, იტალია, გერმანია, პოლონეთი და რუმინეთი) შემთხვევაში გვაქვს ზრდადი დინამიკა. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ეს მაჩვენებელი ცვალებადია, ხოლო უარყოფითი დინამიკა განსაკუთრებით გამოიკვეთა 2009–2010 წლებში. თუმცა, აღნიშნული გარემოება მთლიანობაში არსებულ სურათს მაინც არ ცვლის (საბერძნეთიდან, იტალიიდან და ესპანეთიდან განხორციელებული დიდი მოცულობის ფულადი გზავნილების გათვალისწინებით) და ევროკავშირის ქვეყნებიდან გამოგზავნილი თანხების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

### **§ 3 ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაზე<sup>33</sup> დაყრდნობით ირკვევა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, (2009-2010 წლებში) ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში დეპორტირებულია სულ 2051 მოქალაქე. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებითვე, ეს არ წარმოადგენს სრულ ინფორმაციას. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით დეპორტაციების აღრიცხვა 2009 წლიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა.

აღნიშნული დაკავშირებულია სამ ძირიდად მიზეზთან, რომელიც მომწოდებელი მხარის ინფორმაციით, გარკვეულ გარემოებათა თანხვედრით იკვეთება. ევროკავშირის ბევრი ქვეყანა არ აწვდის საქართველოს ხელისუფლებას სრულ ინფორმაციას დეპორტირებულ პირთა

<sup>33</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; (#12/5/3/14-317594; 16/03/2011)

შესახებ. ამიტომ, აღნიშნული მონაცემები შეგროვებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მიერ შსს-სთვის მიწოდებული ინფორმაციის<sup>34</sup> და სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიერ აღრიცხული შემთხვევების დაჯამების შედეგად. ამასთან, 2009 წლამდე აღრიცხვის სისტემა და მონაცემთა ბაზა ნაკლებად იყო გამართული. გარდა ამისა, 2008 წლის დეკემბრის ცვლილების საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციის ცალკეული დეპარტამენტების შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან გაერთიანებისას, სავარაუდოდ არ მომხდარა 2008 წლამდე სასაზღვრო პოლიციის შესაბამისი მონაცემების სრული ინტეგრირება საერთო ბაზაში.

შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 2005-2007 წლებში,<sup>35</sup> ევროკავშირიდან დეპორტირებულთა რაოდენობა აბსოლუტურ მაჩვენებლებში იკლებს და საერთო დეპორტაციებს შორის 2005 წელს 20%-ს, 2006 წელს -14,8%-ს და 2007 წელს - 9,2%-მდე შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ წლებში დეპორტაციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სხვა, არა ევროკავშირის სამ ქვეყანაზე ნაწილდება:

წელი	სულ	რუსეთი	თურქეთი	უკრაინა
2005	5059	1071	2173	320
2006	6984	3460	1024	429
2007	9607	2047	5319	823

რაც შეეხება ევროკავშირიდან დეპორტაციებს, ფაქტობრივად 2005-2009 წლებში დეპორტაციების რაოდენობამ იკლო აბსოლუტურ მაჩვენებლებში (აღრიცხული სტატისტიკით), და გაიზარდა 2010 წელს. მაგალითად, თუ 2009 წელს დეპორტირებულ იქნა 780 მოქალაქე, 2010 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1271-ს.

დეპორტაციების ძირითად მიზეზებად სახელდება: არალეგალური შრომითი საქმიანობა, საზღვრის უკანონო კვეთა და ყალბი დოკუმენტების გამოყენება. დეპორტირებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 2009-2010 წლის მონაცემებით, ნაწილდება ევროკავშირის 7 ქვეყანაზე, ესენია:

პოლონეთი	489 მოქალაქე
საბერძნეთი	415
გერმანია	339
ავსტრია	147
ესპანეთი	120
საფრანგეთი	119
ჩეხეთი	106

<sup>34</sup> აღნიშნული ინფორმაცია ასევე გამოვითხოვეთ საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან და მოწოდებული მაჩვენებლები ბევრად ნაკლებია შსს-ს მიერ მოწოდებულ მაჩვენებლებზე ქვეყნების მიხედვით.

<sup>35</sup> შსს-ს არ მოუწოდებია 2008 წლის მონაცემები

სხვა წევრი ქვეყნებიდან დეპორტირებულთა რიცხვი 100-ზე ნაკლებია და უმეტესად რამდენიმე ერთეულს შეადგენს. მოცემულ პერიოდში დეპორტაციები საერთოდ არ ფიქსირდება ლუქსემბურგიდან და მალტიდან.

შსს-ს სტატისტიკა არ მოიცავს ინფორმაციას მოქალაქეთა ასაკობრივი ჯგუფების შესახებ. რაც შეეხება დეპორტირებულთა სქესობრივ კუთვნილებას, მამაკაცების რაოდენობა ბევრად აღემატება ქალების რაოდენობას ყველა ქვეყნისათვის, გარდა კვიპროსისა, სადაც ქალები ჭარბობენ მამაკაცებს (4 ქალი და 2 კაცი). ჯამში, 2051 დეპორტირებული მოქალაქიდან 1773 მამაკაცი და 287 ქალია.

#### **§ 4 შრომითი მიგრაცია და პოტენციური შრომითი მიგრანტები**

ზუსტი მონაცემები საქართველოდან ემიგრანტთა საერთო რაოდენობის შესახებ ფაქტობრივად არ არსებობს და სხვადასხვა შეფასებით სავარაუდო რაოდენობა განსხვავებულია, თუმცა ტენდენციების გამოკვეთისა და დინამიკის ასახვისათვის საინტერესოა ზოგიერთი მაჩვენებელი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით (2008) საქართველოს მოსახლეობის სავარაუდოდ 22,9 %<sup>36</sup> ემიგრაციაშია, მათგან თითქმის 80 პროცენტი კი არალეგალური შრომითი მიგრანტია (2003 წლის მონაცემებზე დაყრდნობით).<sup>37</sup> 2010 წლის ერთ-ერთი ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ყოველი მეოთხე ოჯახიდან ერთი შრომითი მიგრანტია საზღვარგარეთ.<sup>38</sup> სხვა შეფასებებით, ემიგრანტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 900 000-ია (მოსახლეობის 20 %),<sup>39</sup> რომელთაგანაც 72% ფულად გზავნილებს ახორციელებს საქართველოში მყოფ ოჯახის წევრებთან. ამავე შეფასებით საქართველოში საოჯახო მეურნეობების 11% იღებს საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრის მხრიდან ფულად დახმარებას, საშუალო წლიური რაოდენობით 1325 აშშ დოლარს, ხოლო 10% - არა უშუალოდ ოჯახის წევრისაგან (მაგ. ნათესავი),<sup>40</sup> საშუალო რაოდენობით 1120 აშშ დოლარს. ამასთან, დასავლეთ ევროპიდან გზავნილების რაოდენობა თითქმის 2000 აშშ დოლარია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საოჯახო მეურნეობების საშუალო წლიური შემოსავალი 2244 აშშ დოლარს შეადგენს,<sup>41</sup> არალეგალ მიგრანტთა წილობრივი მონაწილეობა საკმაოდ მაღალია.

საქართველოდან შრომითი მიგრაციის მარშრუტები ძირითადად რუსეთს, ასევე დსთ-ს დანარჩენ სივრცეს, თურქეთს, და არა-ევროკავშირის ქვეყნებსაც მოიცავს. მაგრამ, არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობა ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით საბერძნეთში, იტალიაში, კვიპროსში, ესპანეთში, გერმანიაში და პოლონეთში საკმაოდ მაღალია.

<sup>36</sup> *Migration in Georgia: A country profile 2008*, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ. 11

<sup>37</sup> იგივე, გვ. 25

<sup>38</sup> *ENPI08-14, Black Sea Labour Market Reviews, Georgia Country Profile*, სამუშაო დოკუმენტი, გვ. 87, 01/2010

<sup>39</sup> *Measuring and Optimising Migration's Economic and Social Impacts*,

IPPR GDN, მაისი 2010, გვ. 15: <http://www.un.org/esa/population/meetings/ninthcoord2011/ippr-gdn.pdf>

<sup>40</sup> იგივე, გვ. 47

<sup>41</sup> იგივე, გვ. 49

საყურადღებოა ისიც, რომ ამ ანგარიშის შეფასებით, საქართველოდან გამგზავრებული შრომითი მიგრანტების დაახლოებით 85%-ს წინასწარ არ ჰქონდა მოძებნილი სამსახური დანიშნულების ქვეყანაში. საქართველოდან იტალიაში გამგზავრებული 27 წლის ქალი, რომელსაც ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს საქართველოში, ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ იქ ჩავლის შემდეგ „სამსახურის შოვნა საკმაოდ ძნელი და სამარცხვინო პროცესია. იტალიაში სამუშაოდ ჩასულ ქალებს ხშირად 3-4 თვის განმავლობაში ნაქირავებ სახლში უწევთ ჯგუფურად ცხოვრება (5 ევროს საფასურად ყოველდღე). პირობები ხშირ შემთხვევაში არის ძალიან მძიმე, მცირე ფართობი ზოგჯერ 40-მდე ადამიანს უხდება ერთად ცხოვრება. არის შემთხვევები, როცა რამდენიმე ქალს ერთ ქვეშაგზე უწევს ძილი. ამასთან, დასაქმების შემთხვევაში, პირველი თვის ხელფასი 'ეკუთვნის' შუამავალს, ვინც მათ სამსახურის მოძებნაში ეხმარება“. თვითონ მუშაობს მომვლელად ოჯახში, სადაც მისი ანაზღაურება დაახლოებით 700 ევროა. ამასთან, ჩვენმა რესპონდენტმა გაგვიზიარა მისი და მის მდგომარეობაში მყოფი ნაცნობების სურვილი, დაბრუნდნენ სამშობლოში, თუ დასაქმების რაიმე პერსპექტივა გაუჩნდება.

თუმცა ჯერჯერობით, ემიგრანტებისა და გამგზავრების მსურველთა რაოდენობა აქარბებს იმიგრანტებისა და დაბრუნების მსურველთა რაოდენობას. საქართველოში ემიგრაციის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ე.წ. „ახალი ევროპის“, ევროკავშირის ახლადგაწევრიანებული ქვეყნების ჯგუფში. ამ სივრცეში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2005-2010) წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი შემცირდა და ყოველ 1000 კაცზე -1,5-დან 0-მდე მერყეობს, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი -12-ია და ამით, ალბანეთთან, მოლდოვასთან, ლიტვასა და ტაჯიკეთთან ერთად შედის ე.წ. „გამგზავნი“ (sending) ქვეყნების ჯგუფში. მართალია, 1990-იან წლებთან შედარებით მაჩვენებელი შემცირდა -20-დან,<sup>42</sup> მაგრამ წმინდა მიგრაციის საერთო მონაცემებით, საქართველო რეგიონის ერთერთი ლიდერია.

წმინდა მიგრაცია არის მიგრანტთა ის რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ემიგრანტებისა და იმიგრანტების რიცხვს შორის წლის განმავლობაში.<sup>43</sup> კერძოდ, საქართველოს მაჩვენებელი არის -249,999, მაშინ როცა შედარებისათვის სომხეთის ანალოგიური მაჩვენებელი -75,000, აზერბაიჯანის -50,000, ხოლო მოლდოვის -171,748-ია.<sup>44</sup>

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა ინფორმაცია 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის სექტემბრამდე მიგრაციის რესურს-ცენტრებში ჩატარებული გასაუბრებების შესახებ, რაც საყურადღებოა ტენდენციების გამოკვეთისათვის. გასაუბრებებში მონაწილეობდნენ მოქალაქეები რომლებსაც სურვილი ჰქონდათ დასაქმების მიზნით წასულიყვნენ საზღვარგარეთ. 1398 პირიდან<sup>45</sup> საზღვარგარეთ მუშაობით დაინტერესებულთა 54.36% ქალი, ხოლო 45.64% - მამაკაცია. პოტენციური შრომითი მიგრანტების ძირითად ასაკობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ 20-დან 25 წლამდე (22.60%, 316

<sup>42</sup> *World Migration Report 2010*, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ. 183:  
[http://jcp.ge/iom/pdf/WMR\\_2010\\_ENGLISH.pdf](http://jcp.ge/iom/pdf/WMR_2010_ENGLISH.pdf)

<sup>43</sup> მსოფლიო ბანკის მონაცემები 2006-2010 წლები: <http://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM>

<sup>44</sup> *Measuring and Optimising Migration's Economic and Social Impacts*, IPPR GDN, მაისი 2010, გვ. 15, ხელმისაწვდომია:  
<http://www.un.org/esa/population/meetings/ninthcoord2011/ippg-gdn.pdf>

<sup>45</sup> მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის რესურს ცენტრები - საქართველო; *პოტენციური შრომითი მიგრანტების მონაცემები, სტატისტიკური მიმოხილვა ივლისი 2006წ. - სექტემბერი 2007წ.*

პირი) და 25-დან 30 წლამდე (18.31%, 256 პირი) კატეგორიის პირები,მესამე ყველაზე დიდ ასაკობრივი ჯგუფს კი შეადგენენ 45-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები (13.66%).

პოტენციურ შრომით მიგრანტთა უმრავლესობა დედაქალაქიდან და ქვეყნის სამი მსხვილი რეგიონიდან იყო (აჭარა, კახეთი, იმერეთი). ამასთან, საყურადღებოა, რომ მათგან თითქმის ნახევარს 49.21%-ს უმაღლესი, ხოლო დიდ ნაწილს (31.40%) - პროფესიული განათლება აქვს მიღებული. მათ უმრავლესობას წარმოადგენენ: მასწავლებლები და ლექტორები - 18.74%, სამედიცინო პერსონალი - 11.23%, ინჟინერ/არქიტექტორები - 8.30%, ეკონომისტები და სოციალური მეცნიერები - 8%, სტუდენტები - ანალოგიურად, 8%და სხვა.

დაინტერესებულ პირთა 37.63% დაუსაქმებელი იყო გასაუბრების დროს, ხოლო დანარჩენები მუშაობდნენ სხვადასხვა სექტორში (მედიცინა, კერძო ბიზნესი, აგრარული სექტორი და ა.შ). მეორე კატეგორიის წარმომადგენელთა ნაწილი დასაქმებული იყო ნახევარ განაკვეთზე ან სეზონურად, ნაწილი კი მოხალისედ.

ენის ცოდნის თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი ვითარება: ინგლისური - 40%,რუსული - 47%,გერმანული - 12% და ფრანგული - 7%.რუსული ენის გარდა ყველა სხვა ენის ცოდნა ძირითადად განისაზღვრებოდა საწყისი სასაუბრო დონით. ამასთან, გამოკითხულთა 84.05%-ს საზღვარგარეთ სწავლისა და მუშაობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, შესაბამისად სრულიად უცხო გარემოში ადაპტირებისათვის იყვნენ მზად.

საზღვარგარეთ სასურველი საქმიანობის მიხედვით უდიდეს ნაწილს - 27.68% სურდა მომვლელად მუშაობა, 23.61% თანახმა იყო შეესრულებინა ნებისმიერი სამუშაო, ხოლო 10.37% მომსახურების სფეროთი იყო დაინტერესებული.

გამოკითხულთა 20.96% ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობაზე იყო თანახმა. ზუსტად ამავე რაოდენობის მოქალაქემ გამოთქვა აშშ-ში გამგზავრების სურვილი. რაც შეეხება ევროკავშირს, ამ მხრივ ყველაზე სასურველი ქვეყნებია: საბერძნეთი 16.09%-სათვის, იტალია - 11.09%, გერმანია - 10.66%, დიდი ბრიტანეთი - 7.94%,ესპანეთი - 4.79% და საფრანგეთი - 4.72%, რაც ემთხვევა კიდევ შრომითი მიგრაციის არსებულ რუქას ევროკავშირის ტერიტორიაზე.

## **§ 5 საზოგადოების ინფორმირებულობა ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შეთანხმების თაობაზე**

ქართული მედია ვიზების გამარტივების ხელშეკრულებასთან ერთად აშუქებდა ევროკავშირთან რეადმისიის თაობაზე მიმდინარე პროცესებსაც. თუმცა, ვიზების ფასილიტაციისაგან განსხვავებით, რეადმისიის საკითხი გაცილებით უფრო კრიტიკულად იყო წარმოდგენილი, კერძოდ ბეჭდვით მედიაში.<sup>46</sup> გარკვეული საზოგადოებრივი და

<sup>46</sup> მაგ. გაზეთი „რეზონანსი,“ 31 მარტის ნომერი, სტატია სათაურით: „ევროკავშირიდან ქართველი არალეგალების გამოძევება ჯერ არ დაწყებულა“; გაზეთი „კვირის პალიტრა“, (21/03/2011), სტატია სათაურით „ევროპა კარის დახურვით გვემუქრება“, ინგლისურენოვანი გამოცემა „The Messenger,“ (23/02/2011) და 4 მარტის ნომერი, სტატიების სათაურით „Returned Emigrants Unemployed“ (დაბრუნებულ ემიგრანტებს უმუშევრობა ემუქრება), „New EU visa would lead to kicking out illegal Georgian migrants,“ (ახალი ევროკავშირის ვიზა ქართველი ემიგრანტების გამოძევებას გამოიწვევს);

პოლიტიკური ჯგუფები მას ცალსახად უარყოფით კონტექსტში განიხილავენ და ამის თაობაზე სპეციალურ განცხადებებსაც კი ავრცელებენ.

ჩვენ, ისევე როგორც ვიზების გამარტივების საკითხზე, ამ შემთხვევაშიც შევეცადეთ გაგვერკვია საზოგადოების ინფორმირებულობის დონე და დამოკიდებულება ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შეთანხმების თაობაზე. ორი მცირემასშტაბიანი გამოკითხვა მიმდინარეობდა ვიზების გამარტივების საკითხზე გამოკითხვის პარალელურად და შესაბამისად გამოკითხულთა წრე საერთოა. შესაბამისად, გამოკითხვას არც ამ შემთხვევაში აქვს სრული სურათის წარმოჩენის პრეტენზია და ზოგადად მიანიშნებს ინფორმირებულობასთან დაკავშირებულ ვითარებაზე.

უშუალოდ ვიზების მიღებით დაინტერესებულ პირთა 46% ფლობდა ინფორმაციას ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ. ინფორმაციის წყარო უმეტესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. იმ მოქალაქეთა დიდი ნაწილი (გამოკითხულთა 28%), ვინც შედარებით კარგად გაეცნო შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს, პოზიტიურად აფასებს მას და მიესალმება სახელმწიფოს ძალისხმევას ქვეყანაში საკუთარი მოქალაქეების დაბრუნების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ის რესპოდენტები (გამოკითხულთა 14%), ვინც ნეგატიურად აფასებენ რეადმისიის ხელშეკრულებას, ფიქრობენ, რომ აღნიშნული პროცესი რეადმისირებული პირების ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედებს, რადგან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მათთვის რთული იქნება ისეთი მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნა, რაც მათ მიერ საზღვარგარეთიდან ოჯახებში გამოგზავნილი თანხის საპირწონე იქნებოდა. მოქალაქეთა ნაწილმა კი თავი შეიკავა შეთანხმების შეფასებისგან.

გამოკითხულ პირთა მეორე (პირობითი) კატეგორიის 43%-სთვის ცნობილი იყო ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ დადებული შეთანხმების თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, აბსოლუტური უმრავლესობისთვის ინფორმაციის წყაროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამ პირთა 30% (8 მოქალაქე) დადებითად აფასებს რეადმისიის შესახებ შეთანხმებას, რადგან ფიქრობს, რომ საზღვარგარეთ მყოფი თითოეული მოქალაქის სამშობლოში დაბრუნება ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია; 26% კი მას უარყოფითად აფასებს, რადგან მიაჩნია, რომ საქართველოსთან დადებული აღნიშნული შეთანხმებით ევროპაში არალეგალურად მცხოვრებ პირთა რაოდენობა არ შემცირდება, ხოლო საქართველოში ამ ადამიანების დაბრუნება მძიმედ აისახება მათი ოჯახის ეკონომიკურ პირობებზე. ეს კი საერთო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დანაჩენი 44% შეთანხმების თაობაზე საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან თავს იკავებს ინფორმაციის არასრულყოფილად ფლობის გამო.

როგორც გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, ევროკავშირთან ვიზების გამარტივების შეთანხმებისთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე რეადმისიის შეთანხმების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში სავიზო საკითხებისაგან განსხვავებით ინფორმაციის გავრცელების ერთადერთ საშუალებად გვევლინება მასმედია. შეფასების თვალსაზრისითაც, განსხვავებული ვითარება გვაქვს. ვიზების გამარტივების შეთანხმებისგან განსხვავებით, დიდ ნაწილში რეადმისიის შეთანხმება ძირითადად მაინც ნეგატიურად აღიქმება.

## თავი IV - ხელშეკრულებების საერთო შეფასება

ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებების და მათთან დაკავშირებული პროცესების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გამოვკვეთოთ ამ შეთანხმებებით განპირობებული ახალი მოცემულობები, პერსპექტივები თუ საფრთხეები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულებების მნიშვნელობას არა მხოლოდ უშუალო შედეგები, არამედ ვიზის ლიბერალიზაციისა და ევროკავშირთან სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივა განსაზღვრავს, რომლისთვისაც მათი იმპლემენტაცია აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავიზო საკითხებს არეგულირებდა ერთი მხრივ, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა, ხოლო მეორე მხრივ, შენგენის შეთანხმება და 2010 წელს ამოქმედებული ევროპის სავიზო კოდექსი.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ, ვიზის მიღების პროცედურა გამარტივდა რამდენიმე მიმართულებით, რაც მოიცავს: მგზავრობის მიზნის დადასტურებას, მრავალჯერადი ვიზების გაცემის წესს, სავიზო მოსაკრებლის ღირებულებას, მოსაკრებლისგან გათავისუფლებულ პირთა წრეს, სავიზო განაცხადის განხილვის ვადებს, დიპლომატიური პასპორტებით გადაადგილებისა და ვიზების ტერიტორიული მოქმედების საკითხებს. ქართული მხარის შეფასებით, აღნიშნული შეთანხმების პირობები საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელია ევროკავშირის მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ ანალოგიურ ხელშეკრულებებს შორის.<sup>47</sup>

- ევროკავშირის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ვიზებით დაინტერესებული მოქალაქეების 13 კატეგორიისათვის, მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად უმეტეს შემთხვევაში, საკმარისია შესაბამისი პირის ან ორგანოს მიერ გაცემული მხოლოდ ერთი დოკუმენტის წარდგენა.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შეთანხმების ძალაში შესვლამდეც, ამ პირთა კატეგორიების უმრავლესობას შეთანხმებით განსაზღვრული მიზნებით მგზავრობისას, მგზავრობის მიზნების დასადასტურებლად წევრი ქვეყნების საკონსულოებში უნდა წარედგინა პრაქტიკულად იგივე დოკუმენტები. ანუ, რეალურად, მგზავრობის მიზნების დამადასტურებელი მტკიცებულებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

საყურადღებოა, რომ გამარტივება არ ეხება ტურისტული მიზნით გამგზავრების მსურველებს, მაშინ როცა ტურისტული ვიზა ფაქტობრივად ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ვიზის ტიპია.

<sup>47</sup> ინტერვიუ: თამარ ბერუჩაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, 25/05/2011



რაც შეეხება ვიზის მისაღებად წარსადგენ სხვა აუცილებელ დოკუმენტებს (მაგალითად, სამგზავრო დოკუმენტი და საარსებო საშუალების დამადასტურებელი საბუთი), შეთანხმება მათ არ ეხება და აღნიშნული საკითხი რეგულირდება ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით. საყურადღებოა, რომ ევროპის სავიზო კოდექსის<sup>48</sup> (მე-14 მუხლის) მიხედვით, ერთიანი სავიზო პოლიტიკის წარმოებისათვის ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ მათი კანონმდებლობების ფარგლებში და განიხილონ ჰარმონიზებული სააპლიკაციო პროცედურების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ეს ეხება სავიზო განაცხადთან ერთად წარსადგენ დამატებითი დოკუმენტების ერთიან ნუსხასაც. ამ ეტაპზე, არსებობს მინიმალურ მოთხოვნათა სია - დოკუმენტების აუცილებელი, მაგრამ არაამომწურავი ნუსხა - როგორც ეს საქართველოსთან ვიზის ფასილიტაციის შეთანხმების დეკლარაციით არის გათვალისწინებული, რომელიც ქართულ ენაზე განთავსებულია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე.<sup>49</sup>

რადგანაც ნუსხა არაამომწურავია, საქართველოში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოები შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგაც იმავე დამატებით დოკუმენტებს ითხოვენ, რასაც მანამდე.<sup>50</sup> ამასვე ადასტურებს, მაგალითად, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საელჩოს ვებ-გვერდზე განთავსებული „საინფორმაციო ფურცელი #1“. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „შეთანხმება ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ არ წარმოადგენს პრეტენზიის ქონის საფუძველს შენგენის ვიზის მისაღებად“ და რომ „საელჩო მომავალშიც იტოვებს უფლებას, ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.“<sup>51</sup>

შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ ვიზის ფასილიტაციის შეთანხმებით სავიზო დოკუმენტების მოთხოვნის თვალსაზრისით ფაქტობრივად მნიშვნელოვანი ცვლილება ან გამარტივება არ მომხდარა.

- სავიზო მოსაკრებლის 60-დან 35 ევრომდე შემცირება და მოსაკრებლის გადახდისაგან 12 კატეგორიის საერთოდ გათავისუფლება, შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პუნქტია, რაც, გარკვეულწილად შეამცირებს მოქალაქეთა სავიზო დანახარჯებს.

მართალია, ვიზების მსურველთა უმრავლესობა სავიზო ხელშეკრულების ამ პირობას დადებითად აფასებს,<sup>52</sup> მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ სავიზო მოსაკრებელი თუნდაც 60 ევროს ოდენობით, არ წარმოადგენდა იმ სახის დაბრკოლებას, რომლის გამოც ისინი უარს იტყოდნენ ევროკავშირის შესაბამის ქვეყანაში გამგზავრებაზე. მეტიც, ბევრ მოქალაქეს, განსაკუთრებით კი შრომით მიგრანტებს, ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის მოკლევადიანი ვიზის მისაღებად კოლოსალური თანხის გადახდა უწევთ და მზად არიან ამისთვის.

<sup>48</sup> ბმული იხილეთ ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის ვებ-გვერდზე: Agenda for Europe/ Visa and Mobility, [www.ei-lat.ge](http://www.ei-lat.ge)

<sup>49</sup> ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, „ვიზების გაცემის ახალი წესები“ (01.03.2011)“, მე-5 პუნქტი; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/visa\\_rules2011\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/visa_rules2011_ka.pdf);

<sup>50</sup> ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის საკონსულოებში არსებული ვითარების საერთო კვლევა; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, „ვიზების გაცემის ახალი წესები“, (01/03/2011), მე-5 პუნქტი; [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/visa\\_rules2011\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/visa_rules2011_ka.pdf);

<sup>51</sup> - [http://www.tiflis.diplo.de/contentblob/3078742/Daten/1230860/DD\\_MBVEA\\_mit\\_Georgien\\_geo.pdf](http://www.tiflis.diplo.de/contentblob/3078742/Daten/1230860/DD_MBVEA_mit_Georgien_geo.pdf)

<sup>52</sup> ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ ჩატარებული მცირემასშტაბიანი გამოკითხვა, 28/03/2011.

ქართველი გოგონა, შრომითი მიგრანტი იტალიაში, რომელიც რომში 2010 წლის იანვარში გაემგზავრა,<sup>53</sup> ამბობს, რომ მან ვიზის მისაღებად შუამავლის დახმარებით ისარგებლა და ამისათვის 3000 ევრო გადაიხადა, რაც პირადად გადასცა შუამავალ პირს. ამ ემიგრანტის, ისევე როგორც ჩვენი გამოკითხვის ერთ-ერთი რესპონდენტის ისტორია, რომელსაც პოლონეთის ვიზის მოსაპოვებლად დაახლოვებით იმავე საფასურის გადახდა მოუხდა და სხვა მრავალი მსგავსი შემთხვევა სხვადასხვა თვალსაზრისით არის საყურადღებო. ერთი მხრივ, ეს მიანიშნებს, რომ საქართველოს მოქალაქეები მზად არიან გადაიხადონ საკმაოდ დიდი თანხა ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაოდ წასასვლელად, (რომელთან შედარებით სავიზო მოსაკრებელი ძალზედ უმნიშვნელოა). მეორე მხრივ, მაშინ როცა საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისთვის, რომლებსაც სურთ ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი მიზნებით გამგზავრება, ევროკავშირის კარი ჩაკეტილია, ისევე აქტიურად მოქმედებენ და სარგებლობენ ორგანიზებული ჯგუფები, რომლებსაც სხვადასხვა გზებით ხელეწიფებათ ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყნის მოკლევადიანი ვიზის მიღება პოტენციური შრომითი მიგრანტებისთვის.

თუმცა, ამასთან ვიზის მოსაკრებლისგან გათავისუფლებული პირთა კატეგორიისათვის (რომელიც ნაკლებად მოიცავს პოტენციურ შრომით მიგრანტებს), ეს ცვლილება მნიშვნელოვანი შედეგია.

- შეთანხმებით სავიზო განაცხადების განხილვის ვადების შემცირებაც 10 სამუშაო დღემდე ცალსახად დადებითი მოვლენაა.

თუმცა, თუ აქამდე არსებულ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნების საკონსულოთა უმრავლესობა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირთა კატეგორიების უმრავლესობისათვის ვიზებს ხშირ შემთხვევაში ისედაც 10 დღეზე ნაკლებ დროში, როგორც წესი, 3-4 დღეში გასცემდა; განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ვიზის მიღება უფრო სწრაფადაც იყო შესაძლებელი.

- ცალსახად დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ დიპლომატიური პასპორტების მფლობელი საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭება.

ჯერჯერობით გამოწვევას წარმოადგენს ხელშეკრულების ამ პირობის დროული და ეფექტური იმპლემენტაციის შეფერხება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ჩვენი რესპონდენტის ინფორმაციით, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე, რომელსაც თან ჰქონდა საქართველოს მოქმედი დიპლომატიური პასპორტი, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ალოდინეს გერმანიის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, ვიდრე მათი სასაზღვრო სამსახურები გაარკვევდნენ და დაადასტურებდნენ ამ სამგზავრო დოკუმენტით უვიზო გადაადგილების უფლებას.

- შეთანხმება საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრავს მრავალჯერადი ვიზების გაცემის საკითხს, რომელთან მიმართებაშიც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები

<sup>53</sup> ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ ჩატარებული ინტერვიუ სკაიპით, 24/05/2011

იყენებენ ერთიან მიდგომას და აღნიშნული საკითხი მიზნული არ არის მათ ეროვნულ კანონმდებლობაზე.

აქაც, მთავარი საკითხი ევროკავშირის წარმომადგენლობების მხრიდან ხელშეკრულების დროული და ეფექტური იმპლემენტაციაა. შესაბამისად, ამ მიზნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეთანხმების მართვის ერთობლივი კომიტეტის მაქსიმალურად სწრაფად ამოქმედება, რათა მოხდეს ყველა შესაძლო პრობლემური საკითხის განხილვა და გადაჭრა, რაც იკვეთება ან შესაძლოა გამოიკვეთოს შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში. ეს პროცესი გულისხმობს არა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებას, არამედ ასევე მოიცავს ევროპის სავიზო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურებისა და მიდგომების დანერგვას მოქალაქეთა სავიზო მომსახურების სფეროში, რაზეც ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულება აკეთებს მინიშნებას.

მაგალითად, ევროპის სავიზო კოდექსით არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: სავიზო განაცხადის შედგენა მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე (ქართულად); ვიზაზე უარის დასაბუთება სტანდარტული ფორმის მეშვეობით, რომელიც ასევე შედგენილი უნდა იყოს მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე; ვიზაზე უარის გასაჩივრების წესი და ვადები; საკონსულოს თანამშრომელთა თავაზიანი მოპყრობა მოქალაქეებისადმი; სწრაფი, უსაფრთხო და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიმართულებით, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ჯერ ისევ არის პრობლემებიც. წევრი ქვეყნების საკონსულოების მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს სავიზო განაცხადის ფორმებს ქართულ ენაზე. თუმცა ზოგიერთ საკონსულოში (მაგ. საფრანგეთი), განაცხადები ჯერ კიდევ უცხო ენაზე ივსება.<sup>54</sup> ვიზაზე უარის შემთხვევაში, განმცხადებელს ეძლევა უარის დასაბუთების სტანდარტული ფორმა და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ.<sup>55</sup> სავიზო განაცხადების განხილვა ძირითადად ხდება 3-4 დღეში. საკონსულოების ადმინისტრაციული პერსონალი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ თავაზიანია, თუმცა არის შემთხვევები, სადაც ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო ვითარება გვხვდება და ასევე, რამდენიმე საკონსულოში ადმინისტრაციული პერსონალი არ საუბრობს ქართულად. ამასთან, რამდენიმე საკონსულოში მომსახურების ინფრასტრუქტურა არც ისე გამართულია (მოსაცდელი ადგილები და პირობები, მიღების ხანგრძლივობა, რიგები, ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობა, ა.შ.).<sup>56</sup>

პრობლემებს შორის უნდა აღინიშნოს არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობა საკონსულოების მხრიდან შეთანხმებითა და ევროპის სავიზო კოდექსით გათვალისწინებული სავიზო საკითხების თაობაზე ინფორმაციის სათანადო წესით გავრელების თვალსაზრისით, რაც ართულებს ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესს და ხელს უშლის მოქალაქეების ეფექტურ სავიზო მომსახურებას.

ხელშეკრულების იმპლემენტაციის თვალსაზრისით, პრობლემის ცალკე ნაწილს წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არასრული საკონსულო წარმომადგენლობა საქართველოში. ევროპის სავიზო კოდექსი ითვალისწინებს

<sup>54</sup> იხილეთ დანართი 4

<sup>55</sup> იხილეთ დანართი 6

<sup>56</sup> იხილეთ დოკუმენტის თავი II, §5

ევროკავშირის საკონსულო წარმომადგენლობების ოპტიმიზაციას, რაც გულისხმობს ზოგიერთი წევრი ქვეყნის ევროკავშირის სხვა საკონსულოების მეშვეობით წარმომადგენლობას ეფექტური თანამშრომლობის პირობებში. კოდექსი ასევე განიხილავს ერთიანი განაცხადების ცენტრის შექმნის შესაძლებლობას, სადაც ბევრი საკონსულო ინდივიდუალურად არ არის წარმოდგენილი, (ამგვარი ცენტრი მოქმედებს მოლდოვაში). საქართველოში ჯერ ისევ პრობლემად რჩება იმ ქვეყნების ვიზის მიღება, რომლებიც მხოლოდ საზღვარგარეთ წარმოდგენილი საკონსულოების მეშვეობით ემსახურებიან საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ, როგორც დოკუმენტის მე-2 თავშია აღნიშნული, საქართველოში პირდაპირი წესით წარმოდგენილია (აკრედიტებულია) ევროკავშირის მხოლოდ 13 ქვეყნის საკონსულო, საიდანაც გაერთიანებული სამეფო არ არის ვიზის ფასილიტაციის შეთანხმების მონაწილე. არაპირდაპირი წესით კი წარმოდგენილია 10 საკონსულო, რომელთა შორის არიან ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორებიცაა ბელგია და ესპანეთი; ასევე, უნდა აღინიშნოს ავსტრიის, ირლანდიის (ეს უკანასკნელი არ მონაწილეობს შეთანხმებაში), სლოვაკეთისა და კვიპროსის საკონსულოების არ არსებობა საქართველოში. ამ ქვეყნების ვიზების მისაღებად აპლიკანანტებმა უნდა მიმართონ საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე შესაბამის საკონსულოებს კიევში, სტამბულში, ანკარაში, სოფიაში ან ათენში, რაც საქართველოს მოქალაქეებისათვის ართულებს პროცედურებს და მნიშვნელოვნად ზრდის დანახარჯებს, მაშინ როცა ვიზის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების გარანტია არც არსებობს.

საქართველოში არსებული წევრი ქვეყნების საკონსულოების მიერ 2007-2009 წლებში ვიზების გაცემისა და ვიზაზე უარის სტატისტიკა მეტ-ნაკლებად სტაბილურია და საერთო ჯამში, განსაკუთრებული ცვლილებები არ გვხვდება. იმის გასარკვევად, თუ რა გავლენას იქონიებს ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულება ამ დინამიკაზე, სხვა ინდიკატორებთან ერთად, საყურადღებოა, უკრაინისა და მოლდოვის გამოცდილება, სადაც ორივე შეთანხმება ევროკავშირთან (ვიზის ფასილიტაცია და რეადმისია) 2008 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს და შესაბამისად, ტენტენციები უკვე გამოკვეთილია.

პროექტის მომდევნო, მეორე შუალედური კვლევა სწორედ ამ ორი ქვეყნის გამოცდილების ანალიზსა და საქართველოს მიერ ამ გამოცდილების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს მიემდგინება. მაგალითად, უკრაინის შემთხვევაში, ვიზების გაცემის დინამიკა ზრდადია და 2010 წელს მათ მოქალაქეებზე ევროკავშირის დაახლოებით 70,000-ით, ანუ 6%-ით მეტი ვიზა გაიცა 2009 წელთან შედარებით, რაც პოზიტიური განვითარებაა.<sup>57</sup> ჟურნალ „ტაბულა“ს ინფორმაციით,<sup>58</sup> უკრაინასა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულების ამოქმედებიდან 11 თვის შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ვიზის გაცემაზე ნათქვამი უარის რაოდენობა დაახლოებით 2-ჯერ შემცირდა (12-14%-დან 6,6%-მდე), რაც ასევე დადებით კონტექსტში უნდა იქნას განხილული. თუმცა ორივე ქვეყანას ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიმართულებით გარკვეული გამოწვევებიც აქვს (მაგ., გაცემული ვიზების მოქმედების მცირე ვადები, საკონსულოების მიერ უარის დასაბუთების პრობლემები, ა.შ.), რასაც დეტალურად მეორე შუალედური კვლევა მიმოიხილავს.

<sup>57</sup> საექსპერტო შეფასება, ოლექსანდრ სუშკო, ევროატლანტიკური თანამშრომლობის ინსტიტუტის კვლევების დირექტორი, კიევი, უკრაინა, 22/05/2011

<sup>58</sup> ჟურნალი „ტაბულა“, (15/03/2011), სტატია სათაურით, „კუს ნაბიჯებით უვიზო მიმოსვლისაკენ“

რაც შეეხება შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 მარტიდან, განსაზღვრავს საქართველოსა და ევროკავშირის ვალდებულებას, დაიბრუნონ საკუთარი ან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან მეორე მხარის ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით ევროკავშირი, საქართველოს მსგავსად იღებს ვალდებულებას რეადმისიას დაქვემდებარებული საკუთარი ან მესამე ქვეყნის მოქალაქეების უკან დაბრუნებაზე, არსებული ვითარების გათვალისწინებით, რეადმისიის ვალდებულებების შესრულება, ძირითადად, საქართველოს მოუწევს. ამაზე მეტყველებს თავად ის ფაქტი, რომ შეთანხმების გაფორმება მოხდა ევროკავშირის ინიციატივითა და მოთხოვნით.<sup>59</sup> გარდა ამისა, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოდან ევროკავშირის სულ 3 მოქალაქის დეპორტაცია მოხდა (2 გერმანიის და 1 ჩეხეთის მოქალაქე).<sup>60</sup>

რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაციიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის საჭიროა იმის გააზრება, თუ რეალურად ვის შეეხება რეადმისია და თუ/რა გავლენას იქონიებს ეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი ნაწილი შრომითი მიგრანტია, რომელთა მიერ გამოგზავნილი თანხა ხშირ შემთხვევაში საქართველოში მყოფი მათი ოჯახების შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, რეადმისიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგებთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოლოდინები და მოსაზრებები. ხშირად, რისკების შეფასება მკვეთრად კრიტიკულია.

ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამას მოჰყვება ამ ადამიანების საქართველოში მასობრივად და იძულებით დაბრუნება. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის დონე და საკმაოდ რთულია სამსახურის შოვნა, მათი აზრით, ეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის მათ და მათ ოჯახებს. შესაბამისი პუბლიკაციები გაჩნდა ქართულ პრესაში.

მაგალითად, ემიგრაციის საკითხებში „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ომბუდსმენი ნინო ცხოიძე, სავიზო რეჟიმის გამარტივებას დადებითად აფასებს, თუმცა რეადმისიის შეთანხმება ამ პროცესის უარყოფით მხარედ მიაჩნია.<sup>61</sup> ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ავთანდილ სულაბერიძე კი აღნიშნავს, რომ: „ევროკავშირთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ძალიან ბევრი არალეგალი ქართველის დეპორტაცია მოხდება, მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 500

<sup>59</sup> - საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი დეკლარაცია პარტნორობა მობილურობისათვის, 30/11/2009; ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ 17/06/2010 შეთანხმების ძალაში შესვლა დამოკიდებული იყო რეადმისიის ხელშეკრულების გაფორმებასა და ამოქმედებაზე.

<sup>60</sup> ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; (#12/5/3/14-317594; 16/03/2011)

<sup>61</sup> გაზეთი რეზონანსი, 01/03/2011, #051 (6629) სტატია სათაურით „ვიზების გამარტივება ქართველების დიდ ნაწილს ცხოვრებას გაურთულებს“.

ათასი იქნება. პირველ ეტაპზე, საქართველოს ალბათ 100 ათასამდე თანამემამულის უკან მიღება მოუხდება, მერე კი ეს ციფრი გაიზრდება. ეს კი ქვეყანას და განსაკუთრებით ამ ადამიანებს ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ დეპორტაციის მომლოდინე არალეგალმა ქართველებმა თავშესაფრის ძიება უკვე არა ევროკავშირის ქვეყნებში დაიწყონ.<sup>62</sup> რეადმისიის საკითხი პოლიტიკური დისკურსის თემაც გახდა. საქართველოს ლეიბორისტული პარტია რეადმისიის შეთანხმების საერთოდ გაუქმებას ითხოვს. სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, ნესტან კირთაძემ განაცხადა, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღება საქართველოს მთავრობის მხრიდან იქნება დიდი დანაშაული მძიმე სოციალური ვითარებისა და ტოტალური უმუშევრობის პირობებში“ და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ლეიბორისტულმა პარტიამ გაუგზავნა სპეციალური მიმართვა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის ელჩებს საქართველოში.<sup>63</sup>

ექსპერტი ნოდარ კაპანაძე ჩვენთან ინტერვიუში კიდევ ერთ შესაძლო გამოწვევაზე მიახილნებს.<sup>64</sup> მისი მოსაზრებით, ხელშეკრულება ევროკავშირის ქვეყნებში მყოფი არალეგალი შრომითი მიგრანტების ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს, იმდენად, რამდენადაც, შესაძლოა მათ მიმართ დამქირავებლების დამოკიდებულება გახდეს უფრო მძიმე და გაიზარდოს ამ ადამიანებზე ზეწოლა.“

მეორე ნაწილი კი ამ ხელშეკრულებას მხოლოდ პროცედურების გამარტივების ჭრილში განიხილავს და არ ელოდება არც მასობრივ დეპორტაციებს და არც შრომითი მიგრაციის ნაკადების მკვეთრ შემცირებას. მეტიც, ისინი უფრო დადებითად აფასებენ ხელშეკრულებას ვიდრე უარყოფითად, რადგან ფიქრობენ, რომ აღნიშნული შეთანხმება კიდევ უფრო გააღრმავებს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს.

ასე მაგალითად, ჩვენთან ინტერვიუში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის პროგრამის ხელმძღვანელი მარკ ჰულსტი<sup>65</sup> აღნიშნავს, რომ ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შეთანხმებები არალეგალურ მიგრანტთა რაოდენობის შემცირებაზეა ორიენტირებული, თუმცა ფიქრობს, რომ აღნიშნული ფაქტი არალეგალების რაოდენობის შემცირებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ იქონიებს. ამის ერთერთ მიზეზად ის ასახელებს თურქეთისა და უკრაინის გავლით ევროკავშირის ტერიტორიაზე პირდაპირ არალეგალურად შესვლის შესაძლებლობას. ევროკავშირის წარმომადგენლობის “კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობის“ პროგრამის მენეჯერი ქეთევან ხუციშვილის განმარტებით კი,<sup>66</sup> რეადმისიის ხელშეკრულებით ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანი არაფერი შეცვლილა და ახალი ვალდებულება არ წარმოშობილა. მისი შეფასებით, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, საქართველოს ისედაც ჰქონდა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვის ვალდებულება, ხელშეკრულებით კი

<sup>62</sup> გაზეთი რეზონანსი, 23/02/2011, #045 (6623), სტატია სათაურით „წელს უცხოეთიდან დეპორტირებულთა რაოდენობა მოიმატებს“.

<sup>63</sup> გაზეთი “The Messenger” 02/03/2011, #040 (2308), სტატია სათაურით „Visiting Europe made easier for Georgians“ (ევროპაში ქართველების ვიზიტი გამარტივდა)

<sup>64</sup> ინტერვიუ: ნოდარ კაპანაძე, ეკონომიკისა და სოციოლოგიის ექსპერტი, 04/04/2011

<sup>65</sup> ინტერვიუ: მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, 31/03/2011.

<sup>66</sup> ინტერვიუ: ქეთევან ხუციშვილი, 10/12/2011

მხოლოდ პროცესების სტრუქტურირება და ურთიერთ ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრა მოხდა.

რეადმისიის ხელშეკრულებას ცალსახად პოზიტიურად აფასებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე:<sup>67</sup> „ყველაზე დიდი პოზიტივი, რაც რეადმისიის შეთანხმებას აქვს არის ის, რომ აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერით საქართველოს გზა გაეხსნა სხვა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებისაკენ და ხელშეკრულებებისკენ. მაგალითად, წელს უკვე დაგეგმილია საფრანგეთთან ცირკულარული მიგრაციის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერა. ვფიქრობ, მომავალში მსგავსი ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთანაც იქნება.“ ამდენად, მისი აზრით, რეადმისიის ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველო ევროპასთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა. მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის უკან დაბრუნებულთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. რეადმისიის შეთანხმება მოქალაქეთა უკან დაბრუნებასთან დაკავშირებულ პროცესს უფრო ორგანიზებულს გახდის და რეინტეგრაციის სფეროში წინა წლებთან შედარებით სახელმწიფოს უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს. „უარყოფით შედეგებზე საუბარი კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უარს იტყვის თავისი მოქალაქეების მიღებაზე, რადგან მსგავსი პოლიტიკის პირობებში ამ ხელშეკრულებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნეგატიური შედეგი ექნება. თუმცა, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა ეს არ არის. პირიქით, ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ყველა ქართველი დაბრუნდეს საქართველოში და მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით გააჯანსაღოს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა,“ აღნიშნავს ჩვენთან საუბარში გიორგი ვაშაძე.

მაია წერეთელის, კადრების შერჩევისა და კონსულტაციის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოსაზრებით, რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა გარკვეულ ნაწილს ევროპაში საკმაოდ კარგი სახელობო პროფესიული გამოცდილება აქვს მიღებული, რომელთა საქართველოში გამოყენება ადვილად შესაძლებელია ახალი სერვისებისა და ტექნოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.<sup>68</sup> არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ დირექტორი, ზვიად ხუციშვილი კი აღნიშნავს,<sup>69</sup> რომ მათ ორგანიზაციაში ერთიანდებიან ემიგრანტები, რომლებიც ნებაყოფლობით დაბრუნდნენ სამშობლოში საკუთარი კვალიფიკაციის აქ გამოყენებისა და სამუშაოს შოვნის იმედით, თუმცა დღემდე კვლავ დაუსაქმებელი არიან. ორგანიზაცია 2010 წლის მარტში დაფუძნდა და აერთიანებს 1800 წევრს.

შესაბამისად, რეადმისიის, მობილურობა პარტნიორობისათვის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებასა და ვალდებულებების შესრულებას აქვს უფრო ფართო, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური განზომილება, რაც ზოგადად ქვეყანაში შრომითი ბაზრის რესტრუქტურირებისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრას უკავშირდება.

<sup>67</sup> ინტერვიუ: გიორგი ვაშაძე, 29/04/2011

<sup>68</sup> ინტერვიუ: მაია წერეთელი, კადრების შერჩევისა და კონსულტაციის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი, 23/05/2011

